K 2.022
3

მერიმეულ ეგრალულია საქართველოს მიწათმოქმედების საზოგადოება
„გ ე ბ ბ ს ი“

К № 2022/3

მეგობელ აქვიტისის დამხმარე

სხვადასხვა გამოცემა
ტფილისი 1932

395.356(-324)(47+41)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ ჩაგრულ მრავნებათა მშრომელებს

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გაანთავისუფლა მშრომელი მასები ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, მოსპო აგრეთვე ეროვნული ჩაგვრა და დაამყარა სრული თანასწორობა ყველა ეროვნებათა მშრომელთათვის. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ანხორციელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინის ნაციონალურ პოლიტიკას—ცხადია, არ შეჩერდებოდა ნაციონალურ თანასწორუფლებიანობის გამოცხადებაზე. იგი თავიდანვე ატარებდა და ატარებს სხვადასხვაგვარ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სრული ლიკვიდაცია მეფურ-კაპიტალისტური ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი ნაშთებისა და ყველა ეროვნების მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის სრული გაჯანსაღება და მათი კულტურული დონის აწევა.

2022

ამ ღონისძიებათა შორის უმთავრესია: მოკავშირე, ნაციონალური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების ინდუსტრიალიზაცია, რომლებიც ცარიზმის დროს ფაქტიურად წარმოადგენდენ რუსეთის ბურჟუაზიის კოლონიებს (ბელორუსია, საქართველო, კაზაკსტანი, უზბეკისტანი და სხვ.), სამრეწველო პროლეტარიატის განვითარება წარსულში ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელებისაგან, მოხეტიალეთა გადაყვანა ბინადარ ცხოვრებასა და ნაყოფიერ შრომაზე (აზერბაიჯანი, ყირიმი, ბაშკირია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და სხვ.), ყველა აუცილებელი პირობების შექმნა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების კულტურის განსავითარებლად—ფორმით ნაციონალურის, ხოლო შინაარსით—ინტერნაციონალურის და ა. შ.

3

ეროვნული ბიბლიოთეკა 2000-2002

ლენინის ნაციონალური პოლიტიკა სავსებით ტარდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგრეთვე იმ ეროვნულ უმცირესობათა მშრომელების მიმართ, რომელთაც არ აქვთ თავისი ტერიტორია (ლატიშები, ესტონელები, პოლონელები, ებრაელები და სხვ.). საკავშირო კომპარტიის მე-X ყრილობამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ლენინი, თავის რეზოლუციაში ამხ. სტალინის მოხსენების გამო „პარტიის ძორიგ ამოცანების შესახებ ნაციონალურ საკითხში"—მოგვცა სწორი და გარკვეული მითითება: „ცარიზმის პოლიტიკა მდგომარეობდა ამ უმცირესობათა ყოველგვარი საშუალებით განადგურებაში, თუნდაც დარბევებით (ებრაელთა დარბევები). ახლა, როდესაც ნაციონალური პრივილეგიები გაუქმებულია, ეროვნებათა თანასწორობა გატარებულია ცხოვრებაში, ხოლო ეროვნულ უმცირესობათა უფლება თავისუფალი ეროვნული განვითარებისა—უზრუნველყოფილია საბჭოთა წყობილების ბუნებით, პარტიის ამოცანა ამ ეროვნებათა ჯგუფების მშრომელთა მასების მიმართ—მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს მათ სისრულით გამოიყენონ თავიანთი უფლება თავისუფალი განვითარებისა.

33.23, (22×15) 95

ამ საერთო მითითების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა და ატარებს კონკრეტულ ღონისძიებათა მთელ სისტემას ცარიზმის მიერ დამახინჯებულ ებრაელთა მშრომელებისა და ღარიბების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის გამოსაჯანსაღებლად და მათ ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში.

რომ უფრო ცხადი იყოს ამ ამოცანის მნიშვნელობა და აუცილებელი საჭიროება მისი სასწრაფო გადაწყვეტისა, უნდა გვქონდეს თუნდაც საერთო წარმოდგენა ებრაელ მშრომელებისა და ღარიბების მდგომარეობის შესახებ მეფეებურჟუაზია-მემამულეთა ხელისუფლების დროს, რომლის წყეულ მემკვიდრეობას პროლეტარიატის დიქტატურა უშვება ლიკვიდაციას.

ებრაელთა მასების მდგომარეობა ცარიზმის დროს

მეფურ-მემამულეთა რუსეთში ებრაელ მშრომელ მასების მდგრმარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო. ისინი იდევნებოდენ განსაკუთრებით მძიმედ, იყვნენ განწირულნი ნახევრად მშიერი არსებობისათვის, სიღარიბისა და გადაგვარებისათვის და იძულებული იყვნენ დიდი მასებით მიეტოვებინათ რუსეთი.

მეფის მთავრობამ ებრაელი მოსახლეობისათვის გარდა ფაბრიკის მეპატრონეებისა, ვაჭრებისა და ზოგიერთი სხვა პრიველეგიური ჯგუფებისა—შემოიღო „ბინადრობის ზოლი", ე. ი. საცხოვრებლად მისცა მათ გუბერნიების განსაზღვრული რიცხვი ყოფილი რუსეთის პოლონეთის, უკრაინის და ბელორუსეთის მრეწველობის მხრით ჩამორჩენილ რაიონებში, რომელი ხაზის იქით მათ არ ჰქონდათ არამც თუ ცხოვრების, არამედ გამოჩენის უფლებაც. თვითონ „ზოლის" ფარგლებშიაც კი მათ აკრძალული ჰქონდათ სოფელ ადგილას ცხოვრება. ამგვარად, ებრაელ მშრომელებს და ღარიბებს დახშული ჰქონდათ კარი ფაბრიკებსა და ქარხნებში და აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში. ებრაელი მშრომელები იძულებული იყვნენ ყოფილიყვნენ შინამრეწველები, შუამავლები ან კიდევ წვრილი ვაჭრები.

ცარიზმის მხეცურმა ეკონომიურმა პოლიტიკამ თუ როგორ დაამახინჯა ებრაელთა მასების ეკონომიური მდგომარეობა, ამას ნათელჰყოფენ შემდეგი ციფრები: სრულიად რუსეთის 1897 წ. აღწერის მიხედვით ებრ. მოსახლეობის 39,9% ჩაბმული იყო ვაჭრობაში, 34,9%—შინამრეწველობაში, 5,3%—არანაყოფიერ და გაურკვეველ პროფესიებში, ხოლო სოფლის მეურნეობაში—მხოლოდ 2%. ამგვარად, ებრაელთა მოსახლეობის თითქმის $^3/_4$—ეწეოდა ვაჭრობას და ხელოსნობას. რომ ცხადვყოთ ამ ციფრების ნამდვილი აზრი, საკმარისია ვთქვათ, რომ არაებრაელები—რუსები, უკრაინელები და ბელორუსები—ვაჭრობაში და ხელობაში ჩაბმული იყო მხოლოდ 12,2%, ე. ი. **ექვსჯერ უფრო ნაკლები** ვიდრე ებრაელები.

ებრაელ ხელოსნების უმეტესობის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ საკმაოდ ნათლად ლაპარაკობენ 1898-99 წლების გამოკვლევები. ამ ცნობების მიხედვით 80% ებრაელი მკერვალებისა რუსეთში შემავალ პოლონეთის ნაწილში შოულობდენ წლიურად 200 მანეთზე ნაკლებს, ე. ი 25 მან. ნაკლებს თვეში. ასეთივე და უარეს სურათს ვხვდებით მეჩექმეებთან და სხვებთან.

რაც შეეხება წვრილ ვაჭრებს—მეფის შინაგან საქნეთა სამინისტროს ცნობებითაც კი,—„ბინადრობის ზოლის“ ცხრა უდიდეს ქალაქში—მათი შემოსავალი შეადგენდა 2½ მანეთს კვირაში, ხოლო მათი თანხა შეადგენდა 4—15 მანეთამდე.

რასაკვირველია, ებრაელი კაპიტალისტები, ბანკირები, მეფაბრიკეები და ვაჭრები—კარგად ცხოვრობდენ ცარიზმის დროს. მათზე არ ვრცელდებოდა აუარებელი შეზღუდვა და დევნა, რომელსაც განიცდიდენ მილიონობრივ ებრაელ ღარიბების მშრომელები და მასები. ებრაელი კაპიტალისტები ურცხვად უწევდენ ექსპლოატაციას ებრაელ და არა ებრაელ მუშებს და მშრომელებს და ამაში სრულიად არ ჩამოუვარდებოდენ რუსპოლონელ და სხვა ეროვნებათა ექსპლოატატორებს.

ხოლო მილიონები ებრაელ მშრომელებისა და ღარიბებისა მოსთქვამდენ მძიმე უღლის ქვეშ, ოხრავდენ უსამართლობის და სიღარიბის მუხრუჭებში და ძალით აჩანჩალებდენ საცოდავ, ნახევრად მშიერ არსებობას.

ცარიზმის მხეცური ნაციონალური პოლიტიკით გამოწვეულმა ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობამ გამოიწვია მათი ემიგრაცია მეფის რუსეთიდან. მასიური ემიგრაცია დაიწყო 1881 წ.—სისხლიანი დარბევების შემდეგ, რომელიც მოაწყო თვითმპყრობელობამ როგორც პასუხი ალექსანდრე მეორის მკვლელობაზე. ემიგრაცია გრძელდებოდა იმპერიალისტურ ომამდე, ვიდრე საზღვრები არ დაიკეტა. ამ დროის განმავლობაში მეფის რუსეთი მიატოვა 2.000.000 ებრაელმა, რომელთა შორის უმეტესობა წარმოადგენდა ღარიბებს და მშრომელებს.

სხვა ემიგრანტები ხშირად უკან ბრუნდებოდენ სამშობლოსაკენ, ხოლო ებრაელი ემიგრანტები სამუდამოდ სტოვებდენ მეფის რუსეთს—ბოროტ დედინაცვალს. იტალიელი ემიგრანტებიდან 1899-1910 წ. უკან დაბრუნდენ სამშობლოში 61%, რუსი, უკრაინელები და ბელორუსები—41%, ხოლო ებრაელები 8%. როგორი მძიმეც არ იყო მათი უმეტესობისათვის ახალ ადგილებზე მოწყობა, სადაც მათ უწევდენ სასტიკ ექსპლოატაციას, ისინი მაინც არ იჩენდენ არავითარ სურვილს დაჰბრუნებოდენ მეფის რუსეთს, „ბინადრობის ზოლს“.

იმპერიალისტურმა სისხლიანმა სასაკლაომ კიდევ უფრო გააუარესა ებრაელ მშრომელების და ღარიბების ეკონომიური მდგომარეობა. ებრაელი ბურჟუა ისევე როგოც სხვა ეროვნების კაპიტალისტი, მდიდრდებოდა სპეკულიაციისა და სხვადასხვა სამხედრო კომბინაციებით, ხოლო ამ დროს ებრაელ ღარიბ-ღატაკთა და მშრომელთა უმრავი მასები—კიდევ უფრო ღატაკდებოდენ და სავსებით ნადგურდებოდენ დარბევებისაგან; ამას კიდევ ემატებოდა მათი იძულებითი აყრა ფრონტთან ახლო მდებარე ზოლიდან, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თითქმის მთელი „ბინადრობის ზოლი“. იმპერიალისტური ომის წლებში სიღატაკეში ჩაცვივდენ ასიათასობით ებრაელ ხელოსნები და სხვა მშრომელები (შავი მუშები, ქვის მტვრელები, მტვირთავები და სხვ.) რომლებიც, ძალით გამოსახლებამდე—ასე თუ ისე თავისი შრომით ჰპოულობდენ არსებობის წყაროს.

ასეთი იყო—მოკლე ხანებში—ებრაელ მშრომელების და ღარიბების მდგომარეობა ცარიზმის დროს.

და აი სწორედ, საბჭოთა ხელისუფლება, ანხორციელებს რა ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას, კომპარტიის ხელმძღვანელობით—წარმატებით და სწრაფი ტემპებით უშვება ლიკვიდაციას წყეული წარსულის მემკვიდრეობას.

ლენინის ნაციონალური პოლიტიკა საქმით

მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ ებრაელ ღარიბების და მშრომელთ შორის რეკონსტრუქციული მუშაობის უდიდეს რეზულტატებს ხუთწლედის მეორე წლის ბოლოში.

დავიწყოთ პატარა ცხრილიდან, რომელიც ყველა სიტყვებზე უფრო მკვეთრ-მეტყველურად მოწმობს იმ მიღწევების შესახებ, რომელსაც უკვე მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით—ებრაელთა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის რეკონსტრუქციის საქმეში.

თვითმომქმედ ებრაელი მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის ცვლილება (%-ში)

სოციალური ჯგუფი	რევოლუციამდე	1926 წ.	1930 წ.
მსხვილი მრეწველობის მუშები	4,0	10,6	16,3
წვრილი მრეწველობის მუშები	11,0	3,7	2,6
გლეხები	2,2	8,5	11,1
შინამრეწველები	18,4	18,8	22,1
მოსამსახურეები	10,0	27,9	27,8
ს ხ ვ ე ბ ი	54,4	33,5	20,1
სულ	100,0	100,0	100,0

როგორც ჩანს უკვე მოყვანილი ციფრებიდან, აღდგენითი პერიოდის დასასრულში უკვე გვაქვს მნიშვნელოვანი ძვრები საბჭოთა კავშირის ებრაელთა მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში. ერთი მხრით 2½-ჯერ გაიზარდა მსხვილი მრეწველობის მუშების რიცხვი, ხოლო 4-ჯერ გლეხობის რიცხვი, მეორე მხრით კი მნიშვნელოვანად შემცირდა (54,4%-დან 33,5%-მდე) საბჭოთა კავშირის ებრაელთა მოსახლეობის ე. წ. „სხვების", ე. ი ვაჭრების, შუამავლების და არამშრომელი ელემენტების შემადგენლობა.

რეკონსტრუქციულ პერიოდში გადასვლასთან და სოციალისტური აღმშენებლობის ტემპებთან დაკავშირებით, რომელშიაც ჩაბმული არიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მშრომელების მილიონიანი მასები,—მნიშვნელოვნად გაძლიერდა აგრეთვე ებრაელთა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის რეკონსტრუქციის ტემპი. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია შევადაროთ 1926 წ. ციფრები—1930 წლის ციფრებს. რეკონსტრუქციული პერიოდის პირველ წლებ

ში ხვედრითი წონა მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ ებრ. მშრომელებისა გაიზარდა 6%, ე. ი. თითქმის იმდენივეთი, რამდენიც რევოლუციის მთელი განვლილი პერიოდის ხანში. მნიშვნელოვანად გაიზარდა აგრეთვე გლეხების რიცხვიც (8,5% დან 11,1%-დე.) და სამაგიეროდ შემცირდა „სხვა" რიცხვი—33,5%-ნ 20,1%-დე.

გარდა ამისა ებრაელთა მოსახლეობის შემადგენლობა რევოლუციამდე და 1930 წელში—ყველა სიტყვებზე უფრო დამაჯერებლად ლაპარაკობენ იმ უდიდეს რეალურ შედეგების შესახებ ებრაელთა მასების ეკონომიური მდგომარეობის გამოჯანსაღების საქმეში, რომელსაც მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ. სხვილი მრეწველობის მუშების ხვედრითი წონა გაიზარდა 4-ჯერ მეტად (4%-დან 16,3%-მდე), გლეხები 5-ჯერ მეტად (2,2%-დან 11,1%-მდე), ხოლო „სხვები" შემცირდენ 2½-ჯერ მეტად (54,4%-დან 20,1%-მდე).

მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრობითი გატარების საფუძველზე, რომელიც მიმართულია ყოველგვარი ნაციონალური უთანასწორობის სრული მოსპობისაკენ და საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათა ფართო მასების ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმისაკენ—შესაძლებელი იყო ასე სწრაფად და რადიკალურად შეცვლა ებრაელთა მასების ეკონომიური მდგომარეობისა.

ებრაელთა მასების ეკონომიური გადაგვარება კაპიტალისტურ ქვეყნებში

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გაანთავისუფლა ყოფილ მეფის რუსეთის მშრომელი მოსახლეობა—არა სიტყვით, არამედ საქმით გაანთავისუფლა და ჩააბა სოციალისტურ მშენებლობაში აგრეთვე ებრაელთა მშრომელი მასები. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, სადაც ბურჟუაზიულ-ფაშისტური მთავრობების პოლიტიკა წარიმართება გაბატონებულ ეროვნებათა მბრძანებელ კლასების მტაცებლური სურვილებით—ებრაელ მშრომელების და ღარიბების ბილიონიანი მასები—განწირულნი არიან სიმშილისა, სიღარიბისა და გადაგვარებისათვის.

აი ზოგიერთი ფაქტები და ციფრები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ ნათქვამს.

ავიღოთ ფაშისტური პოლონეთი, სადაც ცხოვრობს 3 მილიონზე მეტი ებრაელი. ერთ-ერთ ბროშურაში, რომელიც გამოვიდა 1930 წ. სახელწოდებით „რა ვქნათ"—ნათქვამია:

...„დაბაში საშინელი სიღარიბეა. მოსახლეობის ერთი მესამედი დამშეულია. ხელოსნებს არა აქვთ სამუშაო. ათეული მეჩექმენი—იჩხუბიან ერთი ჯლანისათვის" „დაბა" გარშემორტყმულია ყოველხაირი მათხოვრებით და ღატაკებით. მათხოვრები ჩნდებიან მთელი ჯარებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა ებრაელები წავიდენ ქვეყნად და აღარავინ დარჩა თავის ადგილას."

„საზღვარზე მდებარე დაბების მცხოვრებნი, რომლებიც ომამდე ცხოვრობდენ გერმანიასა და ავსტრიასთან ვაჭრობით, ახლა გაღატაკდენ და სჭირდებათ მათხოვრობა, ვინაიდან შემოსავლის ყველა წყაროები მათთვის დახურულია".

„ვაჭრები ბლომად გვყავს. მათი რიცხვი საკმარისი იქნებოდა ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვანი ხალხებისთვისაც. ხოლო ყოველგვარი ბუხჰალტრები, აგენტები, კომისიონერები—ხომ უამრავია."

„რა დაემართებათ ებრაელებს იმ ქალაქებში, სადაც იზრდება ახალგაზრდობა, რომელსაც იქ არაფერი აქვს გასაკეთებელი და რომელსაც არსად შეუძლია თავისი ცოდნის გამოყენება“?

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ებრაელ მუშებს პოლონეთში ერეკებიან მრეწველობის ყველა დარგებიდან, რომლებიც უვარდებათ მონოპოლიად ან კონტროლის ქვეშ ფაშისტურ ხელისუფლებას.

უკეთესი არაა მდგომარეობა ებრაელ მშრომელებისა და ღარიბებისა საბჭოთა კავშირის სხვა მეზობელ კაპიტალისტურ ქვეყნებში—რუმინეთში, ლატვიაში, ლიტვაში, რაშიაც ძნელი არაა დარწმუნება, თუ შევადარებთ ამ ქვეყნებში მცხოვრებ თვითმომქმედ ებრაელთა პროფშემადგენლობას—საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ებრ. კომპაქტურ მასებთან.

1926 წ. კანონების მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკებში, სასოფლო მეურნეობაში ჩაბმული იყო 10,3—13% ებრ. მოსახლეობისა, ლიტვაში—5,9%, ლატვიაში მხოლოდ 0,9%; საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრიასა და კუსტარულ სარეწაოებში—ჩვენში 33,8-36,5%, ხოლო ლიტვასა და ლატვიაში—21,6-26,7%, ვაჭრობაში პირიქით, ჩვენში ჩაბმული იყო 15,8-20%, ხოლო ლიტვასა და ლატვიაში—30,0-48,1% და ა. შ.

აქედან აშკარაა უდიდესი განსხვავება ეკონომიური პროცესებისა, რომელიც ხდება ებრაელთა მოსახლეობის შორის პროლეტარული დიქტატურის ქვეყანასა და კაპიტალისტურ ქვეყნებში. **ჩვენში ებრაელთა მშრომელი მასები და ღარიბები ებმებიან მსხვილ ინდუსტრიასა და სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, ხდებიან აქტიური მშენებლები სოციალიზმისა, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში გვაქვს დიამეტრალურად საწინააღმდეგო პროცესი, იქ იშლება ებრაელი მშრომელის სახე, იზრდება ხვედრითი წონა პარაზიტულ ელემენტებისა, ე. ი. ებრაელთა მასები დაადგენ გადაგვარების გზას.**

ორიოდე სიტყვა ებრაელთა ბურჟუაზიის უნაყოფო ცდის შესახებ, რომ ჩააბას ნაწილი ებრ. მოსახლეობისა სამიწათმოქმედო შრომაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ებრაელთა ბურჟუაზიულ-ფილანტროპიული ორგანიზაციის „ეკოს“ 50 წლის მოღვაწეობის შედეგად—ებრაელთა სამიწათმოქმედო კოლონიების შექმნისათვის არგენტინაში—ამჟამად იქ მიწათმოქმედებას ეწევა 15.000 კაცამდე.

სავსებით გაკოტრდა, როგორც მთელი ავანტიურა სიონისტებისა, ებრაელთა ჩაბმა სოფლის მეურნეობაში—პალესტინაში. ამ კოლონიზაციაზე 50 წლის განმავლობაში შეჰყლაპეს 200 მილიონ მანეთზე მეტი და შედეგად—მიწათმოქმედებაში ჩაბმულია მხოლოდ 14.000 კაცი. ებრაელთა მასების მდგომარეობა პალესტინაში საუკეთესოდ ხასიათდება იქიდან მასიური გამოქცევით.

1926 წ. პალესტინაში შევიდა 13.080 ებრაელი, ხოლო გამოვიდა 7.356, ე. ი. 56% შესულთა მთელი ციფრიდან, 1927 წ. შევიდა 2,718, ხოლო გამოვიდა 5,082, ე. ი. 187% შესულების; ხოლო 1928 წ. შევიდა 2.178 კაცი, ხოლო გამოვიდა 2,175, ე. ი. შესულთა მთელი ასი პროცენტი.

მოყვანილი ფაქტები და უტყუარი ციფრები მეტად დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს და ლენინური ნაცი-

ონალური პოლიტიკის საფუძველზე შესაძლებელია გამოჯანსაღება ებრაელთა მასების ეკონომიური მდგომარეობისა და მათი ჩაბმა ნაყოფიერ შრომაში. კაპიტალისტურ ქვეყნების პირობებში კი ისინი განწირული არიან სიმშილისა, მათხოვრობისა და გადაგვარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეზეტი — მუშაობის შედეგები და უახლოესი ამოცანები.

პირველი ნაბიჯები

ებრაელ ღარიბების სამიწათმომქმედო შრომაზე გადაყვანის საკითხი წამოიჭრა ოქტომბრის რევოლუციისთანავე. ეს საკითხი დასმული იყო 1918 წ. ებრაელთა კომუნისტური სექციების და ებრაელ კომისარიატების პირველ კონფერენციაზე.

მეორე კონფერენცია, რომელიც შედგა 1919 წ., დაუბრუნდა ამ საკითხს და მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. ებრაელ ღარიბების სამიწათმომქმედო შრომაზე გადასვლის საკითხით დაინტერესდა აგრეთვე ამხ. ლენინი, რომელიც აძლევდა ამ საქმეს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. ებრაელ საქმეთა კომისარის ამხ. დიმანშტეინის მოხსენების თანახმად რ. კ. პ. (ბ) ცეკამ იცნო საჭიროდ ზომების მიღება ებრაელ ღარიბებისათვის დახმარებისა სამიწათმომქმედო შრომაზე გადასასვლელად.

ამ დადგენილების თანახმად, აღნიშნულმა კომისარიატმა მიმართა მიწათმოქმედების კომისარიატს სათანადო მოხსენებითი ბარათით, რომლის განხილვის შემდეგ მიწსახკომის კოლეგიამ იცნო სასურველად „ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ებრაელთა მასებისათვის მათი სასოფლო მეურნეობაში ჩაბმის მიზნით“ და დაავალა ცენტროზემს წარმოედგინა ცნობები თავისუფალ მიწის ფონდების შესახებ, რომლისგანაც შეიძლებოდა ებრაელ ღარიბებისათვის სათანადო ნაჭრების გამოყოფა.

ამის შემდეგ ებრაელ საქმეთა კომისარიატმა მიმართა მოწოდებით ებრაელ ღარიბებს, რომ მათ მოეწყოთ სასოფლო-სამეურნეო არტელები და კოლექტივები. ამ დროს დაიწყო საერთო სახელმწიფოებრივი გართულებანი, როგორც მაგ. 1919 წ. ევაკუაცია უკრაინისა და ბელორუსიისა, რის გამოც ყველა დასახული ღონისძიებანი მშვიდობიანი აღმშენებლობის სფეროში ჩამოდგა უკანა რიგზე. ბუნებრივად ასევე დაემართა ებრაელ ღარიბების ჩაბმას სამიწათმომქმედო შრომაში.

მიუხედავად ამისა, ებრაელ ღარიბების სტიქიური მოძრაობა სასოფლო-მეურნეობაში გადასვლისათვის არ შეწყვეტილა. თვით სამოქალაქო ომის წლებშიაც კი, როცა ებრაელთა კომპაქტური მასებით დასახლებული რაიონები ხშირად გადადიოდენ ხელიდან ხელში, გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელების და კომუნების აღმოცენა. თვით 1920—21 წ. მათი რიცხვი მნიშვნელოვანად გაიზარდა. საბჭოთა ორგანოები მათ უწევდენ ყოველგვარ დახმარებას. მიუხედავად ამისა გამწვავებული სამოქალაქო ომის დროს არ შეიძლებოდა ამ მუშაობის გარდაქმნა.

1922 წ. დაიწყო შესამჩნევი გარდატეხა. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ და კონტრრევოლიუციონური ბანდების ლიკვიდაციამ, კვლავ გააცოცხლეს ებრაელ ღარიბების მისწრაფება სასოფლო მეურნეობისაკენ.

1923 წ. ჩატარებულ იქნა ებრაელთა სამიწადმომქმედო წერტების გამოკვლევა, რომელმაც ცხადჰყო, რომ მიუხედავად განსაკუთრებულ სიძნელეებისა, მათ ჰქონდათ გარკვეული მიღწევები, რომ ებრაელ მიწის მუშების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ოქტომბრამდე არსებულ პერიოდთან შედარებით.

ამ გამოკვლევის ცნობებით, საბჭოთა კავშირის ებრაელთა მიწათმომქმედი მოსახლეობა იმ დროისათვის ითვლიდა 75.911 სულს (1913 წ.—52.758), მიწის საერთო ფართობი, რომელიც მათ განკარგულებაში იყო, შეადგენდა 160.283 გას, რომლიდანაც 23.120 გა ან 14,8% ეკუთვნოდა 270 კოლექტივს.

1923 წლამდე ახალი მიწის მუშა ებრაელები სახლდებოდენ ყოფილ მემამულეთა, ამჟამად თავისუფალ მიწებზე, რომლებიც მდებარეობდენ „ბინადრობის ზოლის" სფეროში მყოფ ქალაქებთან და დაბებთან.

უკვე 1923 წ. გაზაფხულში ზოგიერთ რაიონებში დაიწყო ჩამოყალიბება ებრაელ ღარიბების ჯგუფებმა უკრაინის სამხრეთის უდაბნოიან გუბერნიებში გადასასახლებლად. ასე მძლავრი იყო ებრაელ ღარიბების მისწრაფება სოფლის მეურნეობისაკენ.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი ახალი, თავისუფალი მიწების მონახვის შესახებ, კერძოთ კი—მიწის დიდი მასივების შესახებ, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა გეგმიანად გადასახლება ებრაელ ღარიბების მნიშვნელოვანი ნაწილისა.

1924 წ. ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა. 1924 წ. 25 ივლისს ბელორუსიის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ებრაელ ღარიბებისათვის მიწის მიცემის შესახებ იმავე საფუძვლებზე, როგორც არაებრაელთათვის. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის შექმნილი იყო სპეციალური კომისია („კომზეტი"). იმავე წლის 29 ივლისს უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმაც მიიღო დადგენილება მშრომელი ებრაელების მიწით მომარაგების შესახებ, რომლებიც მოისურვებენ სამიწათმოქმედო შრომაზე გადასვლას.

ჩქარა (1924 წ. 29 აგვისტოს) ეს საკითხი დაყენებული იყო საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წინაშე, რომელმაც დაადგინა მოაწყოს ეროვნებათა საბჭოსთან ამხ. სმიდოვიჩის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომიტეტი მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობისათვის (კომზეტ).

ასე ჩაეყარა საფუძველი ებრაელ ღარიბების სამიწათმომქმედო შრომაზე გეგმიან გადაყვანას.

გეგმიანი გადასახლების შედეგები

კომზეტის შექმნასთან დაკავშირებით დაიწყო გეგმიანი მუშაობა ებრაელ ღარიბების გადასასახლებლად მიწაზე—და ამავე დროს უმთავრესად დიდ მასივებზე.

დაარსებისთანავე კომზეტმა დაისახა ამოცანად მთელი რიგი წლების განმავლობაში გეგმიანად დაასახლოს მიწაზე 100.000 ოჯახი ებრაელი ღარიბებისა, ე. ი. ნახევარ მილიონ სულზე მეტი. საბჭოთა კავშირის ცაკმა მოიწონა ეს გეგმა და იცნო ის „შესაფერისად, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, აგრეთვე მშრომელ ებრაელთა მოსახლეობის საჭიროებისათვის".

ამ გეგმის საფუძველზე **კომზეტი** შეუდგა თავისი მუშაობის გაშლას.

კომზეტი ეძებს თავისუფალ მიწის მასივებს, ცდილობს მათ გამოყოფას ებრაელი ღარიბების დასახლებისათვის, გამოაქვს საბიუჯეტო ასიგნობები, საბანკო კრედიტები და ანაწილებს მათ იმ ორგანიზაციების შორის, რომლებიც აწარმოებენ ოპერატიულ მუშაობას ებრაელ ღარიბების მიწაზე მოსაწყობად აწესებს გადასახლებულთა მეთოდებს (განსაზღვრავს გადასახლებულთა კატეგორიებს, ხელმძღვანელობს მათი შერჩევით და გადასახლებით, დაკრეტიდების პრინციპებს, მიწათმოწყობის ფორმებს და ა. შ.), აწესებს მიწათმოწყობის თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწევს ოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებას და ა. შ.

ექვსი წლის მუშაობის მანძილზე (1925-1930) **კომზეტმა** მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს თავისი მოქმედების ყველა ძირითად დარგებში.

მიწის მასივები

კომზეტის მუშაობის შედეგად სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გამოყოფილი იყო ებრაელთა ღარიბების მიწაზე მოსაწყობად მნიშვნელოვანი თავისუფალი მიწის მასივები, რომლებიც ცალცალკე რესპუბლიკებში ნაწილდება შემდეგნაირად ჰექტარებში:

საქართველო	1294
უზბეკისტანი	1640
აზერბაიჯანი	1725
დაღესტანი	13.391
რსფსრ	18.682
ბსსრ	28.120
უსსრ	175.016
ყირიმი	342.669
ბირობიჯანი (შორ. აღმ.)	3.895.000

ყველაზე უფრო მსხვილი თავისუფალი მიწის მასივი გადასახლებისათვის გამოყოფილი იყო შორეულ აღმოსავლეთის მხარეში—ბირობიჯანის რაიონი.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1928 წ. 28 მარტის დადგენილებით ბირობიჯანის რაიონი მიმაგრებულ იქნა **კომზეტზე** მშრომელ ებრაელთა მასიური დასახლებისათვის იმ ანგარიშით, რომ რაიონის დასახლების ხელსაყრელ პირობებში—იქ შეიქმნას ებრაული ავტონომიური ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეული.

მიწათმოწყობილ ებრაელთა რიცხვი

არა სრული ცმობებით, ექვსი წლის მუშაობის შედეგად კომზეტმა გეგმიანი წესით დაასახლა გამოყოფილ მიწებზე ებრაელ ღარიბების 23.000 ოჯახზე მეტი.

აზერბაიჯანი	140
დაღესტანი	214
საქართველო	328
უზბეკისტანი	750
რსფსრ	1.808
ბირობიჯანი	1.300
ბსსრ	3.906
ყირიმი	5.151
უკრაინა	8.489
სულ	23.087

ამ წლების განმავლობაში კომზეტის მიერ გაცემული თანრიგების რიცხვი გადასახლებაზე გაცილებით მეტია და აღწევს 30.000.

გადასახლების განზრახული გეგმა არ იყო მთლიანად შესრულებული, გაცემული თანრიგების ნაწილი არ იყო მთლიანად გამოყენებული, ხოლო გადასახლებულთა ნაწილმა, დასტოვა ფონდები.

გეგმიანი საგადასახლებო მოძრაობის ზრდა უკანასკნელ წლებში ჩანს შემდები ციფრებიდან. ძირითად ფონდებზე გადასახლდენ: 1929 წ.—4.400 ოჯახამდე, 1930 წ.—5.021, 1931 წ. განზრახული იყო 6.125 ოჯახი.

1931 წ. მიწაზე დასახლებული მასები უმთავრესად იგზავნებოდენ ყირიმში (3.250 ოჯახი), უკრაინის ებრაელთა რაიონებში (1.500 ოჯახი) და ბირობიჯანში (1.400 ოჯახი.)

კადრების მომზადება მრეწველობისათვის

რეკონსტრუქციული პერიოდის დასაწყისში, ინდუსტრიალიზაციის ტემპების ზრდასთან დაკავშირებით დაიწყო ებრაელი მშრომელების ჩაბმა აგრეთვე მრეწველობაში—ლითონის დამამუშავებელი, სამთო, საალმშენებლო, სატრანსპორტოში და სხვ. დაიწყო კვალიფიკაცია ულარიბესი ახალგაზრდობისა და უმუშევრებისა დაბებში, რომელთაგანაც მზადდებოდა სამრეწველო კადრები.

1927 წ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით სათანადოთ იყო გაფართოებული **კომზეტის** ფუნქციებიც. მას დაევალა „ზომების მიღება, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით ებრაელი მუშების, შინამრეწველების და ხელოსნების გადასამზადებლად და მათი პროფესიონალურ-ტეხნიკური კვალიფიკაციის ასაწევად.

ამინ შემდეგ დაიწყო გეგმიანი მუშაობა მშრომელების ჩასაბმელად მრეწველობაში და უმთავრესად ებრაელ ღარიბ ახალგაზრდობიდან სამრეწველო კადრების მოსამზადებლად. ეს მუშაობა წარმოებდა საკავშირო მასშტაბით.

ამ ხნის განმავლობაში **კომზეტმა** გაანაწილა 30.000 თანრიგზე მეტი, უმთავრესად ახალგაზრდობის ჩასაბმელად საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, მასიურ პროფესიათა სკოლებში და სხვადასხვა კურსებზე, ამ რიცხვიდან ნახევარზე მეტი ხვდება 1929-30 წ.

შინარესპუბლიკანურ თანრიგებთან ერთად 1929-30 წ. განაწილებული იყო 33.450 თანრიგი, მათ რიცხვში 500 სასეზონო მუშაობისათვის, ხოლო დანარჩენები—საფაბრიკო-საქარხნო, მასიურ პროფესიათა სკოლებში, სხვადასხვა კურსებზე, ტრანსპორტზე და სხვ.

1931 წ. გაზაფხულზე, კომზეტის თანრიგებით წარმოებდა შერჩევა 5.550 მთზარდისა საფ. საქ. სკოლებში და ტრასპორტის სკოლებში, მათგან—2.000 უკრაინაში, 500—ბელორუსიაში, 850—რსფსრ-ში და 2.220 საფ. საქ. სატრანსპორტო სკოლებში.

გასული წლის „ტრიბუნის“ მესამე ნომერში ჩვენ ვკითხულობთ ებრაელ ღარიბთა ახალგაზრდობის ჯგუფის შესახებ, რომელიც გაგზავნილი იყო ნიჟნი-ნოვგოროდის მსხვილ წარმოებებში შემდეგს:

„ახალგაზრდებს უჭირდათ პირველ ხანებში: არ იყო საერთო საცხოვრებელი, საფ.-საქარხნო სკოლებში მიღება ცუდათ იყო მომზადებული, მომარაგება არ იყო მოგვარებული, პოლიტმუშაობა არ წარმოებდა. მაგრამ ახალგაზრდები არ დაეცენ სულით და გადაწყვიტეს საერთო ძალებით სიძნელეების გადალახვა. შეჰქმნეს კომკავშირის უჯრედი, დაიწყეს საერთო საცხოვრებლის მოწყობა. უმეტესობამ დაიკონტრაქტა თავი ხუთწლედის ბოლომდე.

ისინი მუშაობენ მეორე სამოწაფეო ხარისხით. თვიური შემოსავალი აქვთ 35 მანეთი. მეცადინეობა აქვთ კომბინირებული: 4 საათს მუშაობენ წარმოებაში, ხოლო 4 საათს აქვთ თეორეტიული მეცადინეობა.

ყველანი იღებენ აქტიურ მონაწილეობას ქარხნის საზოგადოებრივ საწარმოო ცხოვრებაში.

38 ახალგაზრდობიდან—28 მეშმსელია, რომლებმაც გამოაცხადეს თავი დამკვრელ ბრიგადათ. არც ერთი გაცდენა და დაგვიანება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მტკიცე დისციპლინა—აი ბრიგადის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მათ ქარხნის მუშების საზეიმო სხდომაზე მიიღეს სახელწოდება **წითელდროშოვანი ბრიგადისა.**

ამგვარად ბელორუსიის, პოდოლის, ვოლინის მოსაზღვრე დაბების ებრაელ ღარიბების ბავშვებიდან იზრდებიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშების ახალი კადრები, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ახალი მშენებლები.

კომზეტის უახლოესი ამოცანები

1930 წ. დეკემბერში შემდგარ მემმსის მეორე საკავშირო ყრილობამ **კომზეტის** მოქმედების შესახებ მოხსენების განხილვის შემდეგ აღნიშნა, რომ სოციალისტური მშენებლობის საერთო დიდ მიღწევებთან დაკავშირებით პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე—საკითხი, რომელიც იდგა მწვავედ „ამოცანა საწარმოო შრომაში ჩაბმისა დიდძალი უმუშევრებისა და დეკლასიური ებრაელი ღარიბებისა უნდა ჩაითვალოს **მნიშვნელოვან ნაწილში გადაჭრილად**".

ამასთანავე ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ უსაფუძვლო და საზიანო იქნებოდა აქედან დასკვნის გაკეთება, რომ მომავალში აღარ იყოს საჭირო **კომზეტის** მუშაობა.

„ჯერ ერთი, კიდევ მოიპოვება განსაზღვრული ფენა საწარმოო შრომაში ჩაბმული ღარიბებისა, რომელთა ჩქარი გადასვლა შრომის რელსებზე, წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას. მეორე: ჯერ კიდევ არანორმალური სოციალისტური მშენებლობისა და შრომის რესურსების მაქსიმუმის მობილიზაციის თვალსაზრისით—ებრაელთა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის მთელი რიგი სტრუქტურული მაჩვენებლები".

ამის გამო ჯერ კიდევ აუცილებელია **კომზეტის** მუშაობა, რომლის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ **დაეხმაროს საბჭოთა კავშირის ებრაელთა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის რეკონსტრუქციის საქმეს სოცმშენებლობის საერთო ინტერესებთან შეფარდებით.**

ამ ძირითადი ამოცანიდან გამომდინარე, ყრილობამ მისცა საერთო დირექტივა: პირველ რიგში კომზეტმა—საკ. კ. პ. ც. კ.-ს 1930 წ. 20 ოქტომბრის

დადგენილების თანახმად—უნდა ხელი შეუწყოს მუშა ხელით უზრუნველყოფის საქმეში მრეწველობის უმთავრეს დარგებს: მეტალურგიულს, ქიმიურს, საალმშენებლოს და სატრანსპორტოს; სასოფრო მეურნეობაში ჩაბმის სფეროში კი კომზეტის მუშაობა უნდა მიმართული იყოს საკავშირო და რესპუბლიკანურ დიდ მიწის მასივებზე გადასახლებაში და ა. შ.

რაც შეეხება **კომზეტის** კონკრეტულ ამოცანებს—ისინი ყრილობის მიერ მიღებულ არიან შემდეგი სახით:

1) ხუთწლედის პერიოდის დასრულებამდე მთელი მშრომელი ებრაელობა უნდა იყოს ჩაბმული სახალხო მეურნეობის სოციალისტურ სექტორში და სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებში.

2) თვითმომქმედ მოსახლეობის წრეში—დაქირავებულ შრომის პირები უნდა შეადგენდენ უმრავლესობას, დაახლოებით 60 პროცენტს.

3) სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულ პირთა შორის მნიშვნელოვანად აწეულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებში მუშების რიცხობრივობა და ხვედრითი წონა.

4) 1931 სამეურნეო წელში უნდა დასრულდეს მთლიანი კოლექტივიზაცია ყველა საგადასახლებო მასივებზე.

5) ბირობიჯანის განსაკუთრებული სამეურნეო პირობების და მისი სამეურნეო მშენებლობის პერსპექტივების გამო დაკმაყოფილებულ იქნეს სავსებით საგადასახლებო მუშა ხელის მოთხოვნილება ბირობიჯანში საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის განვითარებისათვის, ხოლო იმავე დროს არ უნდა იყოს შესუსტებული მუშაობა ებრაელ ღარიბების ჩაბმისაკენ კოლმეურნეობებში.

6) ყირიმში—მიმდინარე ხუთწლედში უნდა გატარდეს **კომზეტის** მიერ ყველა გამოყოფილ ფართობების დასახლება და უნდა შევუდგეთ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობას ამ ფართობებზე.

7) მემინდვრეობა საკავშირო მიწის მასივებზე უნდა ტრაქტორიზაციაქმნილ იქნეს მთელი 100%-ით.

8) შეძლებისდაგვარად უნდა გამოსწორებულ იქნეს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო უდაბნო ადგილებში პატარა სამოსახლეობის დაარსებით.

9) ინტერვენციული საშიშროების გაძლიერებასთან დაკავშირებით—მაქსიმალურად ხელი შეეწყოს გადასახლებულთა სამხედრო მომზადებას.

10) საგადასახლებო მუშაობაში უნდა გაძლიერებულ იქნეს მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების განვითარება (მებამბეობა, სოია, მებოსტნეობა, მევენახეობა და სხვ.).

ებრაელთა მასიურ გადასახლების რაიონები

პირველი ებრაული ნაციონალური რაიონი საბჭოთა კავშირში არის **კალინინდორფი**, რომელიც ჩამოყალიბდა 1927 წ. მარტში ყოფილ ხერსონის გუბერნიაში. ამ რაიონს აქვს 58.644 ჰა, რომელზედაც დასახლებული იყო 28.000 ებრაელი.

მეორე ადმინისტრატიული ებრაული რაიონი უკრაინაში არის **ნოვოზლატოპოლსკი**, რომელიც თავის ჩამოყალიბების დროს (7 ოქტომბერს 1929 წ.)

შეიცავდა 12 ძველ ებრაულ კოლონიას და 25 აბალს. 1930 წ. რაიონის განკარგულებაში იყო 34.000 გა.

მე 3 რაიონი არის **სტალინდორფი**, რომელიც აერთიანებს საგადასახლებო მეურნეობათა 90% ს და ყოფილ კრივოროჟის ოლქის მთელ ებრაელთა სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის—70%-ს. სტალინდორფის რაიონი ხდება ყველაზე უფრო მსხვილ რაიონად უკრაინის რაიონებში: მას აქვს 94.610 გა მიწა, 30.048 მოსახლეობა და 6.352 მეურნეობა.

1930 წ. გამოყოფილ იქნა ყირიმში ნაციონალური ებრაული რაიონი, რომელსაც ეწოდა **ფრაიდორფი**. აღნიშნული რაიონი აერთიანებს 36 სასოფლო საბჭოს: 16 ებრაელთა, 14 შერეული, 3 თათრების და 3 გერმანელების. რაიონის საერთო ფართობი შეადგენს 246 ათას გას, რომელთაგან 139 ათასი ანუ მთელი ფართობის 60%—მიცემული აქვს **კომზეტს** ებრ. ღარიბების დასახლებისათვის.

ბირობიჯანის რაიონი

ყველაზე დიდი რაიონი—არის ბირობიჯანის რაიონი. რაიონის საერთო ფართობი—3.862.682 გა, აქედან ვარგისი მიწა სოფლის მეურნეობისათვის 1.835.100 გა, ტყის ფართობი—1.973.100 გა. გამოუყენებელი ფართობი 64.508 გა.

მოსახლეობა 30 წ. 1 იანვრისათვის—37.583 კაცი. მათში ქალაქის მოსახლეობა—7.600; რუსები—27.350, უკრაინელები—3.000, კორეელები—3.278, ებრაელები—2.700, ჩინელები—500, სხვადასხვა (ტუნგუსები, იაკუტები) 1055.

საერთოდ დასახლებული პუნქტებია—248 (მათში ებრაელთა სამოსახლო) 9. დასახლებულ პუნქტების უმეტესობა მდებარეობს რკინის გზის ხაზზე და მდინარე ამურის ნაპირებზე.

ამურის ნაპირებზე მცხოვრებთა მთავარი ხელობაა—მიწათმოქმედება, ხოლო რკინის გზის ხაზზე—ტყის მუშაობა, მონადირეობა და რკინის გზაზე მუშაობა.

რაიალმასკომი მოთავსებულია სოფელ ტიხონკაში, რომელიც მდებარეობს 170 კილომეტრის მანძილზე ქ. ხაბაროვსკიდან. სულ რაიონშია 60 სასოფლო საბჭო, მათში ებრაელთა—3, ჩინელების—1, კორეელების 1, სხვადასხვა—2.

რაიონის მთავარი მდინარეებია: 1) სანაოსნო მდინარე ამური, რომელიც მიიმართება 700 კილომეტრის მანძილზე, 2) მდინარე დიდი ბირა—130 კლმ., 3) მდინარე ბიჯანი—30 კლმ. და 4) მდინარე ტუნგუზკა—70 კლმ. სხვა მდინარეები გამოსადეგია მხოლოდ მეტევეობისათვის.

ბირობიჯანის რაიონში საკმაოდ მოიპოვება რკინის ბუდობები, რომლითაც ყველაზე უფრო მდიდარია შორეული აღმოსავლეთი. აქვე წარმოებს მუშაობა ოქროს მადნეულობათა დამუშავების მიზნით. ბირობიჯანში მოიპოვება აგრეთვე საკმაოდ გრაფიტი, ნახშირი, კირი, მარმარილო და სხვ. 1930 წ. დაწყებულია კირის ქარხნის აშენება. განზრახულია აგრეთვე საკავშირო მეტალურგიური და ცემენტის ქარხნების აშენება.

ებრაელთა გადასახლება

სსრკ ცაკის დეკრეტი ბირობიჯანის რაიონის მიმაგრების შესახებ ებრაელ მშრომელთა დასახლების საჭიროებისათვის და იქ წარმატებით დასახლების

პირობებში ავტონომიურ ებრაულ ნაციონალურ ადმინისტრატიულ ერთეულის მოწყობის შესახებ—გამოცემულ იქნა 1928 წ. 28 მარტს. იმავე წლის მაისში რაიონში ჩამოვიდა 650 კაცი, რომელთაგან 1 ოქტომბრისათვის (1928 წ.) დარჩა მხოლოდ 308 კაცი (წასვლის მიზეზები: წყალდიდობა, ციმბირის ავადმყოფობის გაჩენა, სააღმშენებლო მასალების მიწოდების სიძნელე).

1929 წ. 1 ოქტომბრისათვის რაიონში იყო 1.100 კაცი, ხოლო 1930 წ. 1 ოქტომბერს—2.500 სული. ისინი ჩამოყალიბდენ 4 პუნქტში:

1. **ბირის საცდელი მინდორი**, რომელიც 60 კილომეტრით დაშორებულია ტიხონკას. მიწის ნაწილის დაძლევა მოითხოვს წინასწარ მსუბუქ მელიორატიულ მზადებას.

2) **ამურზეტ.** ამ ფონდის ნაწილი ქვიშიანია, ხოლო ნაწილი მძიმე თიხის ნიადაგიდან შესდგება.

3) **ვალდგეიმ**—დაშორებულია 3 კილომეტრით ტიხონკას.

4) 1929 წ. გაზაფხულზე ბირფელდის რაიონიდან გადასახლდა კომუნა „**იკორი**" ყოფილ დეჟნევის საცდელი მინდვრის უბანში, რომელიც დაშორებულია ხაბაროვსკიდან 50 კილომეტრით, ხოლო ვოლჩაევკიდან—9 კილომეტრით.

პირველად ებრაელი გადასახლებულები აწყობდენ პატარა კოლმეურნეობებს 5—20 კაცამდე. წვრილ კოლმეურნეობებს არ აღმოაჩნდათ სიცოცხლის უნარი და 1930 წ. გაზაფხულზე ისინი ჩამოყალიბდენ სამ მსხვილ კოლმეურნეობებად: ბირფელლი, ამურზეტი, ვალდგეიმი და კომუნა „იკორი".

1930 წ. კოლმეურნეობა **ვალდგეიმში** იყო 293 მეჯამელი. ვალდგეიმის ტერიტორია ნავარაუდევია 1000 ოჯახისათვის. თავის სარძეო-საბოსტნო პროდუქციას იგი ასაღებს ხაბაროვსკში. საშუალო შემოსავალი კოლმეურნეობის წევრისა დღეში უდრის—3 მ. 17 კ.

1930 წ. კოლმ. **ამურზეტში** იყო 312 მეჯამელი.

კომუნა „**იკორს**"—ჰყავს 60 წევრი.

კოლმეურნეობა „**ბირფელდს**"—298 წევრი (I/X 30 წ.) გადასახლებულთა მომსახურეობას აწარმოებდენ **კომზეტი**, **მემმჩი** და საგადასახლებო რაზმი შორეულ აღმოსავლეთის საგადასახლებო მმართველობასთან.

1929 წ. რაიონი გამოკვლეულ იქნა ამერიკის ექსპედიციის მიერ. მთელი რკინისგზის სფერო გამოკვლეულ იქნა ბირობიჯანის საგადასახლებო რაზმის ექსპედიციის მიერ. 1930 წ. რაიონის მიწის ფონდების უმეტესობა გამოკვლეულ იქნა საბჭოთა კავშირის მიწსახკომის ექსპედიციის მიერ. ყველა ამ გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ რაიონს აქვს განვითარების დიდი პერსპექტივები, როგორც სოფლის მეურნეობის, აგრეთვე მრეწველობის ხაზით.

საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობა

სასოფლო-სამეურნეო გადასახლება მიმდინარეობდა აგრეთვე შექმნილ საბჭოთა მეურნეობათათვის კადრების შევსების ხაზითაც. 1930 წ. მუშაობას შეუდგა 4 საბჭოთა მეურნეობა: 1)მარცვალ სოიას საბმეურნეობა—ფართობით 76.000 გა, დაიხნა 12.000 გა, მუშაობდა 300 ებრაელი, 1931 წ. დაითესება 14.000 გა და გადაბრუნდება 14.000 გა. 2) ბრინჯის საბმეურნეობა ამურზეტთან—1500 გა,

დაითესა 110 გა ბრინჯი, 1931 წ. დაითესება—500 გა, 3) სარძეო საბოსტნე საბმეურნეობა—16.000 გა. სადგურ პოკროვკას ახლოს; იქ მოიპოვება ჯოგი—500 თავი, 1931 წ. იქნება—2.000. 4) ამურბირის მეპირუტყვეობის საბმეურნეობა—96.000 გა, სოფელ სტეფანოვკასთან; უკვე მოიპოვება 900 თავი პირუტყვი, 1931. წ. იქნება—5.000 თავი.

სსრკ მიწსახკომის კომისიამ დაისახა კიდევ 14 სხვადასხვაგვარი საბმეურნეობათა მოწყობა—760.800 გა მიწის ფართობზე, რომელთაგან მეღორეობის და მეფრინველეობის საბმეურნეობები უკვე შეუდგენ მუშაობას 1930 წ. შემოდგომიდან.

ყველა ჩამოთვლილი საბჭოთა მეურნეობათათვის საჭიროა დიდი რაოდენობა მუდმივი და სეზონის მუშების.

1931 წლიდან ტრაქტორცენტრმა მოაწყო ბირობიჯანში სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური: ბირფელდში, ამურზეტში და მიხაილო-სემიონოვკას ახლოს.

სამრეწველო და კუსტარული სარეწაოები

მრეწველობის დარგში გადასახლებულთა შრომა განზრახულია გამოყენებულ იქნეს როგორც სამუშაო ძალა მსხვილ ხისმკეთებელ კომბინატში—სოფელ ნიკოლაევკაში (400 მუშა); კირის სამუშაოებზე (1.000 კაცამდე), ოქრომრეწველობაში, განზრახული რკინის გზის აშენებასა და ექსპლოატაციაში და სხვ.

ზამთარში მათ ექნებათ დამხმარე შემოსავალი ხეტყის დამზადების სახით და სხვ. (საშუალო მოთხოვნილება—3.000 კაცამდე).

მდიდარი პერსპექტივებია აგრეთვე შინამრეწველობის განვითარებისათვის 1930 წ. ბოლოს ბირობიჯანში მუშაობდა 10 ებრაელთა კუსტარული არტელები, რომელთაგან წევრები იყო— 203, ხოლო მათ მზრუნველობაზე იმყოფებოდა 279 სული.

რაიონში ეწყობა 3 აგურის ქარხანა—1.000.000 ც. აგურის წარმოებით და ერტი თუნუქის ქარხანა—1.500.000 ც. წლიურად.

1928 წლიდან—1930 წლის ოქტომბრამდე მემმსისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების კურსებზე—კვალიფიკაცია მიიღო 800-ზა კაცმა (ტრაქტორისტები, დურგლები და სხვ.). მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა-ხელზე ბირობიჯანში დიდია.

1931 წ. სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ განზრახულია მიიღონ 20.000.000 მან. ბირობიჯანის რაიონისთვის (საბმეურნეობების მოწყობა, ქარხნების, კუსტარულ წარმოებების, გზების გაშენება, სახლების დაწესებულებებათ გადაკეთება და. სხვ.)

სულ დახარჯულია ბირობიჯანში დასახლებაზე შემდეგი თანხა: დასაბრუნებელი და არა დასაბრუნებელი საბიუჯეტო თანხა—4.000.000 მან. მემმსის თანხები—1.079.000 მან.; ამერიკის პროლეტარულ ორგანიზაციის „იკორის“ მიერ გადმოგზავნილია მანქანები და ხელსაწყოები—3000.000 მანეთისა, სულ 5.460.000 მან.

კულაკურ-სპეკულიანტური ელემენტები ებრაელებით დასახლებულ სოფელში

კლასიური ბრძოლა ებრაელ გადასახლებულთა შორის იღებს თავისებურ ფორმებს. თუ ახალ გადასახლებულთა სოფელში კულაკი, როგორც სხვისი შრომის ექსპლოატატორი, როგორც მეპატრონე დიდი რაოდენობის ცოცხალი და მკვდარი ინვენტარისა, გვხვდება უფრო იშვიათად, ვიდრე ძველ სოფელში, სამაგიეროდ კულაკურ-სპეკულიანტური ელემენტები—გვხვდება გადასახლებულთა შორის ძალიან ხშირად.

ეს გარემოება ნაწილობრივ აიხსნება მემმსის ორგანიზაციების მიერ არასაკმარისი სწორი კლასობრივი მიდგომით—გადასახლებულთა კანდიდატების შერჩევის საქმეში.

კულაკ-სპეკულიანტ ებრაელებით დასახლებულ სოფლებში ყოველნაირად ხელს უწყობენ გადასახლებულთა გულგრილ დამოკიდებულებას საძუშაოსადმი, ხელს უწყობენ სოცუზრუნველყოფის და წამგლეჯაობის განწყობილებას გადასახლებულთა შორის, რომლებმაც მათი აზრით მეტი უნდა მიიღონ საბჭოთა ორგანოებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და ნაკლები მისცენ საბჭოთა სახელმწიფოს; ისინი აგიტაციას ეწევიან კონტრაქტაციის, პურის დამზადების, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და კრედიტების განაღდების წინააღმდეგ. ეს კულაკები ყოველნაირად ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ებრაული სოფლის სიძლიერეს და ხელს უშლიან კოლექტივიზაციას.

ყოფილი სპეკულიანტები, რომლებიც მოექცენ გადასახლებულთა სიაში, ზოგგან კლასობრივ ხაზის დამახინჯების წყალობით შეგროვების დროს, იყენებენ თავის ინტერესებისათვის სიძნელეებს, რომლებიც გვხვდება გლეხების სამრეწველო საქონლით მომარაგებაში, ყიდულობენ ღარიბებიდან მათ უფლებას ამ საქონლის მიღებაზე და აგზავნიან მას ამანათებით ქალაქში გასაყიდათ სპეკულიანტურ ფასებში.

ღონისძიებებმა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე—თავში დაარტყა აგრეთვე ებრაელ კულაკებსაც; მათ დაუნდობლად ერეკებოდენ კოლმეურნეობებიდან, ასახლებდენ საგადასახადებო ფონდების საზღვარს იქით, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ გათავებულა. აუცილებელია მისი გაგრძელება ბოლშევიკური შეუპოვრობით და სავსებით დავასრულოთ მთლიან კოლექტივიზაციასთან ერთად, რომელიც მასიურ ებრაელთა გადასახლების რაიონებში უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს.

მემმსი—მისი მუშაობა და უახლოესი ამოცანები რა არის მემმსი?

ებრაელ მშრომელთა მასების და ღარიბების მიწაზე გადაყვანა მოითხოვს ძალთა დიდ დაჭიმვას და განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას, რადგანაც ებრაელთა მასები ოქტომბრის რევოლუციამდე უკვე აღნიშნული მიზეზებით—თითქმის სრულებით არ ეწეოდენ სამიწათმოქმედო შრომას.

საბჭოთა ხელისუფლებას ამ მძიმე საქმეში დაეხმარა საბჭოთა საზოგადოება, რომელმაც 1925 წ. იანვარში შექმნა—საკავშირო მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება საბჭოთა კავშირში „**მემმსი**“.

მემმსი—მასიური ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი საბჭოთა ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს მშრომელებს, გაურჩევლად ეროვნებისა, რომელთაც სურთ

დაეხმარონ საბჭოთა ხელისუფლებას მისი ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაში და ხელი შეუწყონ ებრაელთა მასების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის გამოჯანსაღებას მათი მიწათმოქმედებაზე გადაყვანით და მრეწველობაში ჩაბმით.

მემმსი, როგორც საბჭოთა მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ატარებს თავის მუშაობას პარტიის გენელარული ხაზის საფუძველზე და მასი ხელმძღვანელობით, მიდის რა ფართო მშრომელთა მასებთან, უთანხმებს თავის ამოცანებს იმ ძირითად პრობლემას, რომელიც დგას საბჭოთა კავშირის პროლეტარულ და მშრომელთა მასების წინაშე—ხუთწლედის ოთხწლედში განხორციელებას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აშენების დასრულებას, ხელს უწყობს ინტერვენციის საშიშროებასთან ბრძოლას და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას და აქტიურად მონაწილეობას იმ მასიურ სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიებში, რომლებსაც ატარებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

მემმსი—მშრომელთა ინტერნაციონალური ორგანიზაციაა

ამჟამად **მემმსს** აქვს თავის ხელმძღვანელი ორგანოები ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში, თავისი ორგანიზაციები 15 მსხვილ საოლქო და სამხარეო ცენტრებში და 500-მდე სარაიონო განყოფილებები.

უკანასკნელ წლების განმავლობაში **მემმსი** გაიზარდა მშრომელთა დიდ მასიურ ინტერნაციონალურ ორგანიზაციად—მნიშვნელოვანი პროლეტარული შემადგენლობით.

ორგანიზაციის საერთო ზრდა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მოჩანს შემდეგი ცნობებიდან: 1926 წ. ბოლოს **მემმსის** ორგანიზაცია ითვლიდა 60.000 წევრს, 1927 წ. ბოლოს—100.000, 1928 წ. ბოლოს—145.000, 1930 წ. 330 ათას წევრზე მეტს. ამ ხნის განმავლობაში, ამგვარად ორგანიზაცია გაიზარდა 5-ჯერ.

ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში მემმსის ორგანიზაციების წევრთა მასა ნაწილდება შემდეგნაირად: უკრაინა—200.000 წევრი ანუ 60% მემმსის წევრთა მასისა მთელ საბჭოთა კავშირში, რსფსრ—72.000 ანუ 22%, ბელორუსია 44.00 ანუ 13%, ამიერკავკასიის რესპუბლიკები*) — 10.000 ანუ 3%, უზბეკისტანის რესპ. 4.000 ანუ 1%.

მემმსის ორგანიზაციის მნიშვნელოვან გამუშურებაზე და ინტერნაციონალიზაციაზე ლაპარაკობენ შემდეგი ციფრები: 1928 წ. მემმსის წევრთა შორის მუშები შეადგენენ—20%, არაებრაელები—12%, 1930 წ. მუშები შეადგენდენ მთელი წევრთა მასის 31%, ხოლო არაებრაელები—45%-ს.

სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მემმსის წევრების სოციალური და ნაციონალური შემადგენლობა ასეთია: უკრაინაში მუშები 35,6%, არა ებრაელები—41%, ბელორუსიაში—მუშები 37,2%, არა ებრაელები—29%, რსფსრ-ში— მუშები—23%, არა ებრაელები 51,7%

მემმსის უჯრედები წარმოებებში, წითელ არმიელთა და წითელფლოტელთა ნაწილში, დაწესებულებებში, კულტარულ არტელებში, კოლმეურნეობებში და სხვ. ითვლება 5.000 მდე.

*) ამიერკავკასიაში ამ რიცვმა ამ ბოლო დროს საგრძნობლად გადააჭარბა.

უკანასკნელ დროს საგრძნობლად განმტკიცდა მემმსის ორგანიზაციის კავშირი პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან.

მემმსის ცენტრალურ ორგანოებს მტკიცე კავშირი აქვთ აგრეთვე დამყარებული მთელ რიგ საზღვარგარეთელ მშრომელთა ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს უწყობენ ებრაელ ღარიბების მიწათმოწყობის საქმეს საბჭოთა კავშირში. ასეთი ორგანიზაციებია ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ურუგვაიში, სამხრეთ აფრიკაში, ინგლისში, გერმანიაში, დანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, ლატვიაში.

ეს ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ თავის გარშემო რამოდენიმე ათას ამერიკის, აფრიკის და ევროპის მშრომლებისას—ატარებენ მნიშვნელოვან მუშაობას საზღვარგარეთ ებრაელთა საბჭოთა კავშირში მიწათმოწყობის პოპულარიზაციის მიზნით და მისთვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად. მათ მოქმედებას აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ბურჟუაზიულ ქვეყნებში—ისინი კონკრეტულ მაგალითზე—ებრაელთა ღარიბების საწარმოო შრომაში ჩაბმით—ეწევიან პროპოგანდას საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკისას.

მემმსის მუშაობა წითელარმიასა და ფლოტში

წითელი არმია და ფლოტი—ჩვენი კლასიური ორგანიზაციებია, რომლებიც იცავენ ოქტომბრის მონაპოვარს საერთაშორისო და იმპერიალისტური ბურჟუაზიისაგან და მისი მენშევიკურ-ფაშისტურ აგენტურისაგან. იმავე დროს საბჭოთა სკოლებია, რომლებიც ზრდიან კლასიურ სულით მუშათა და კოლმეურნე-გლეხთა ახალგაზრდობას—მომავალ აქტივისტებს ფაბრიკებისას და ქარხნებისას და სოფლის სოციაალისტურ რელსებზე სწრაფი გადაყვანისას.

წითელი არმიის და ფლოტის მებრძოლები, ბუნებრივია, უნდა იღებდენ აქტიურ მონაწილეობას ლენინის ნაცპოლიტიკის განხორციელების საქმეში—ამიტომ მათ ხელი უნდა შეუწყონ მემმსს გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანები, ხოლო დემობილიზაციის შემდეგ უნდა გახდენ მემმსის უჯრედების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები წარმოებებში, კოლმეურნეობებში, საბმეურნეობებში და სოფლად.

ამ ჟამად შესამჩნევი წინსვლა ეტყობა მემმსის მუშაობას წითელარმიის რიგებში.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ხარკოვის წითელარმიელთა ნაწილების შედგენილი გეგმა წითელარმიელთა შორის მემმსის უჯრედების მოწყობისა და მუშაობის შესახებ.

1. მემმსის უჯრედის ჩამოყალიბებას წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი მუშაობა:

ა) ამ საკითხის დაყენება პარტბიუროში, პოლკბიუროში, პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე.

ბ) მოხსენების მოწყობა მემმსის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ წითელარმიელთა აქტივის თათბირზე.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა წითელარმიელთა და უფროს შემადგენლობასთან, საუბარი ლენკუთხეებსა და კლუბებში, მემმსმის ლიტერატურის კი,

თხვა, საკითხის გაშუქება კედლის და ნაბეჭდ გაზეთებში, საშეფო ორგანიზაციების მიერ მემმსთან დაკავშირებით—სალამოების მოწყობა, სათანადო კინოფილმის დემონსტრაცია და სხვ.

დ) წინასწარი მუშაობის შედეგად—საინიციატივო ჯგუფის შექმნა, რომელიც უნდა იყოს დასაყრდენი მომავალი ბიუროსი.

დ) ახსნით მუშაობასთან დაკავშირებით უნდა წარმოებულ იქნეს უჯრედის წევრთა შეგროვება და 30—50-მდე შეგროვების შემთხვევაში მოწვეულ იქნეს კრება, რომელზედაც არჩეულ იქნეს საპოლკო ბიურო და დასახულ იქნეს როტის მემმსის ბიუროსათვის რწმუნებულები და სხვ.

2. მემმსის პოლკბიუროს შექმნის შემდეგ მოეწყოს მთელი რიგი საინსტრუქციო მეცადინეობისა პოლკბიუროს წევრთათვის და მემმსის აქტივის რწმუნებულთათვის პარტკომის აგიტპროპის მოცემული პროგრამით.

ა) საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა,

ბ) ებრაელთა მასების ეკონომიური მდგომარეობა ოქტომბრამდე და ახლა,

გ) აგრარიზაცია, მრეწველობაში ჩაბმა.

დ) ანტისემიზმის სოციალურ-ეკონომიური ფესვები.

3. პოლიტხელმძღვანელთა მორიგ თათბირებზე ნაწილებში გატარებულ იქნეს საინსტრუქციო მოხსენება მემმსის შესახებ.

4. ეთხოვოს მემმსის განყოფილების გამგეობას, რომ მიამაგროს სათანადო ნაწილებს მემმსის უჯრედების მოწყობის პერიოდში გამგეობის ცალკეული წევრები.

5. საშეფო ორგანიზაციებმა კავშირი გააბან მემმსთან მუშაკების და მატერიალურ საშუალებათა მიზიდვის მიზნით და აგრეთვე მასიური მუშაობის შეერთებულად მოწყობისათვის.

6. მემმსის საკითხებზე მოეწყოს კონსულტაციები წითელი არმიის სახლების პოლიტგანათლების მუშაობის კაბინეტებში."

სხვადასხვა ცვლილებებით, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, მუშაობის გეგმა და მოყვანილი საინსტრუქციო მითითებანი—შეიძლება აღმოჩნდეს მეტად სასარგებლო.

ბავშვთა ჯგუფები და „მემმსის მეგობრები"

ახალგაზრდა პიონერები, მუშების, კოლმეურნეთა და სხვა მშრომელთა შვილები, რომლებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში—უნდა ასრულებდნენ ღირსეულ როლს ლენინის ნაცპოლიტიკის გატარების საქმეში—კერძოდ კი ებრაელ მშრომელების და ღარიბების მიმართ.

ბავშვთა ფართო მასების აქტიური დახმარება მემმსისათვის ტარდება „მემმსის მეგობრების" ჯგუფების ხელით, რომლებიც მოქმედებენ სათანადო დებულებით.

„მემმსის მეგობართა" ჯგუფები ეწყობა სკოლებში, პიონერ-რაზმებში საბავშვო სახლებში, საბავშვო ბაღებში, ინტერნატებში და სხვ. ამ ჯგუფების შემადგენლობაში შეიძლება მიღებულ იქნენ აგრეთვე არა ჩამოყალიბებული ბავშვები, ე. ი. ვინც არ ითვლებიან სკოლებში, რაზმებში და სხვ. ჯგუფის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობს საერთო კრებაზე არჩეული პრეზიდიუმი. ქალაქებში, დაბებში და

სხვ. „მემმსის მეგობრის“ ჯგუფებს ხელმძღვანელობს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან მემმსის ადგ. განყ-ბის გამგეობის წარმომადგენელი, ა. ლ. კ. კ-ს წარმომადგენელი და ახალგაზრდა პიონერების წარმ.

„მემმსის მეგობართა“ ჯგუფები იჩენენ ინიციატივას, რომ სკოლამ, პიონერ-რაზმმა, საბავშვო სახლმა და სხვამ აიღონ შეფობა საბავშვო ორგანიზაციაზე ან რომელიმე დაწესებულებაზე ებრ. კოლმეურნეობაში და სამოსახლოში. ისინივე აწყობენ მუშათა ბავშვების დელეგაციებს ებრაელთა სოფლებში.

„მემმსის მეგობართა“ ჯგუფები თავის დაწესებულებებში მართავენ მემმსის კუთხეებს, ეწევიან აგიტაციას მოზრდილ მშრომელებისა და მშობლების შორის მემსის რიგებში შესვლისათვის, ჟურნალ „ტრიბუნისა“ და სხვა მემმსის ლიტერატურის გამოწერისათვის, ავრცელებენ მემმსის სალატარიო ბილეთებს და ა. შ.

მთელ თავის მიმდინარე სამუშაოს „მემმსის მეგობართა“ ჯგუფები ატარებენ პიონერ-რაზმებისა და ფორპოსტების ხელმძღვანელობით.

„მემმსის მეგობართა„ ჯგუფები თავისი მუშაობით ასრულებენ საკავშირო პიონერთა შეკრების განაწესს, რომლითაც მათ უნდა ებრძოლონ კლასობრივ მტერს, ანტისემიტიზმს და შოვინიზმს და მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

მემმსი და მისი დამხმარე საზღვარგარეთელი ორგანიზაციები

მემმსის ცენტრალურ საბჭოს კავშირი აქვს მთელ რიგ საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს უწყობენ ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეს საბჭოთა კავშირში და ეხმარებიან მის მუშაობაში. ეს ორგანიზაციებია: შეერთებულ შტატებში— „იკორ“, არგენტინაში—„პროკორ“, ბრაზილიაში—„ბრაზკოლ“, ურუგვაიში—„პროკორ“, სამხრეთ აფრიკაში—ებრ. საკონოლიზაციო ფონდი, ლატვიაში—„ოსეკ“, დანიაში—„იკორ“, შვეიციაში „იკორ“, გერმანიასა და ავსტრიაში—საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწათმოწყობის დამხმარე საზოგადოება და ინგლისში—მემმსთან დაკავშირებული ჯგუფი „არბეიტერ რინგ“.

ეს ორგანიზაციები აერთიანებენ თავის გარშემო ამერიკის, აფრიკის და ევროპის რამოდენიმე ათას მშრ. ებრაელებისას, ატარებენ დიდ მუშაობას საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწათმოწყობის საქმის პოპულარიზაციისათვის და აგრეთვე ეხმარებიან მას მატერიალურადაც. საზღვარგარეთის ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ პერიოდში გადმოეგზავნა მემმსის ცენტრალურ საბჭოს 515.000 მან., რომელთაგან ყველაზე დიდი თანხა გადმოგზავნა „იკორმა“ (ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატები)— 416.000 მან. და „პროკორმა“ (არგენტინა)—45.000 მან.

იკორ

„იკორი“ მშრომელთა მასიური ორგანიზიციაა, რომელიც ამჟამად ითვლის 115 განყოფილებას და 5000 წევრს ჩრდ. ამერიკასა და კანადაში. „იკორმა“ შეძლო საბჭოთა კავშირში ებრაელთა მიწათმოწყობის საკითხის გარშემო—დაერაზმა ამერიკის პროლეტარული და დემოკრატიული წრეები და დახმარებისათ-

ვის ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათი. „იკორმა“ დაიწყო პატარა ამოცანით: თავდაპირველად იგი ეხმარებოდა ზოგიერთ სამოსახლოებს ყირიმში (ფართობა — 8000 გა), ჰგზავნიდა 1926 წ. ყირიმში ტრაქტორებს და სხვა სას. სამ. მანქანებს. „იკორი“ ამჟამად ერთად-ერთი ძირითადი და პირველი საზღვარგარეთელი ორგანიზაციაა, რომელიც ეხმარება კომზეტს და მემმსს—ესოდენ მძიმე და მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა ბირობიჯანის ათვისება.

„იკორი“ ეხმარება ბირობიჯანის ოპერატიულ მუშაობას მისი მექანიზაციის ხაზით, ცდილობს უზრუნველჰყოს იგი ტექნიკური ხელსაწყოებით, როგორც სასოფლო მეურნეობისათვის, აგრეთვე მრეწველობისათვის. დიდი როლი ბირობიჯანის პოპულარიზაციის საქმეში შეასრულა „იკორის“ მიერ გაგზავნილმა საექსპერტო კომისიამ, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებით მოსკოვში ელაპარაკა ამხ. რიკოვს და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებს.

ამ კომისიის ზოგიერთ წევრმა ბირობიჯანის გარდა დაათვალიერეს ებრაელთა სამიწათმოქმედო რაიონები უკრაინასა და ყირიმში. „იკორის“ ც. კ. თავმჯდომარის პროფ. კუნცის მიერ დაშვებულ იქნა ბირობიჯანის სამრეწველო კოლონიზაციის გეგმა, რომელიც ძირითადში მოწონებულ იქნა კომზეტისა და მემმსის მიერ.

პროკორ

„პროკორი“ მეორე ორგანიზაციაა, რომელიც აწარმოებს დიდ მუშაობას თანხების შეგროვების მიზნით ებრაელთა მიწათმოწყობისათვის საბჭოთა კავშირში.

1929 წ. საბჭოთა კავშირს ეწვია „პროკორის“ დელეგაცია (არგენტინა, ურუგვაი და ბრაზილია), რომელიც გაეცნო ებრაელთა სამიწათმომქმედო რაიონებს საბჭ. კავშირში და აგრეთვე ბირობიჯანს.

დელეგაციამ არგენტინაში დაბრუნების შემდეგ გაშალა დიდი და წარმატებითი კამპანია „პროკორის“ სასარგებლოდ და იმავე დროს პოპულიარიზაცია უყვეს იმ მიღწევებს, რომელიც არის საბჭ. კავშირში ებრ. მიწათმოწყობის საქმეში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ბირობიჯანის კოლონიზაციას, როგორც ამ მუშაობის უფრო საყურადღებო სექტორს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მემმსის დელეგატის ამხ. ლევინის სააგიტაციო გამგზავრებას არგენტინაში, რომელიც ყველგან ხვდებოდა უდიდეს სიმპატიებს საბჭოთა კავშირში ებრ. მიწათმოწყობის საქმისადმი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ცენტრ. საბჭო აწარმოებს საინფორმაციო მუშაობას იმ უამრავ საზღვარგარეთელ დელეგაციებსა და ტურისტების ჯგუფებთან, რომლებიც ჩამოდიან მოსკოვში და რომლებთაც აინტერესებთ ებრ. მიწათმოწყობის საკითხები.

კულტაგიტმასიური მუშაობა

მემმსის ორგანიზაციები აწარმოებენ სხვადასხვაგვარ პოლიტსაგანმანათლებლო კულტმასიურ მუშაობას, როგორც წარმოებებში და დაწესებულებებში, აგრეთვე საგადასახლებო უბნებში.

დიდი როლი ითამაშეს ინტერნაციონალურად აღრზდის საქმეში, ანტისემიტიზმთან და ნაციონალისტურ განწყობილებებთან ბრძოლაში და ებრაელ ლა-

რიბების მიწათმოწყობის მნიშვნელობის ახსნაგანმარტებაში—მუშათა, წითელარმიელთა და პიონერთა დელეგაციებმა, რომლებმაც იმგზავრეს ებრაელთა გადასახლების ფონდებზე. ასეთი დელეგაციები 1929 წ. იყო რამოდენიმე ათეული, ხოლო მასში მონაწილე—2.000.

დელეგატები აკეთებენ საანგარიშო მოხსენებებს წარმოებებში, წითელარმიელთა ნაწილებში, პიონერებთან და პრესაში. დელეგატები, როცა ეცნობოდნენ იმ სიძნელეებს, რომლებიც ელობებათ ახალგაზრდა გამოუცდელ გლეხებს ყირიმის უდაბნოებში, ბირობიჯანის გამოუკვლეველ მასივებში და უკრაინის ჭაობიან რაიონებში—ჰფანტავდენ იმ ანტისემიტურ ცილისწამებებს, თითქოს ებრაელებს მისცეს საუკეთესო მიწები, თითქოს ისინი თვითონ არ მუშაობდნენ და ა. შ.

მემმსი აწარმოებს აგრეთვე საშეფო მუშაობას, რომლის ძირითადი ამოცანებია: მემსის საწევრო მასის კავშირის გაძლიერება გადასახლებულებთან, კავშირის განმტკიცება სხვადასხვა ეროვნებათა სამრეწველო მუშებისა და ებრაელთა საკოლმეურნეო მასასთან და აგრეთვე ფინანსიური ბაზის გაფართოება გადასახლებულთა კულტმომსახურებისათვის.

უკანასკნელ დრომდე საშეფო მუშაობა ყველაზე უფრო გაშლილი იყო უკრაინაში, ლენინგრადში და მოსკოვში. მემმსი ეხმარება განსახკომის ადგ. ორგანოებს და კომიტეტს გადასახლებულთა კულტშენებლობის საქმეში.

უკრაინის, ყირიმის, ბელორუსეთის მომსახურეობისათვის 1930 წ. იყო შემდეგი სკოლები: 1 და 2 საფეხურის—194, სას. სამ. კურსების, სას. სამ ტექნიკუმი—2, სას. სამ. ინსტიტუტი—1, ქოხ-სამკითხველო—101, წითელი კუთხე-81, ბიბლიოთეკა—87, ლიკპუნქტები და მც. მც. სკოლები—33, საბავშვო მოედნები—77 და ა. შ.

მემმსი აწარმოებს აგრეთვე საგამომცემლო მუშაობას—გაძლიერებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მემმსის მუშაობის ყველა ძირითად საკითხებში.

1927 წ. მემმსი უშვებს პერიოდულად ჟურნალ „ტრიბუნას“, რომელიც იპყრობს მკითხველებს მემმსის წევრებისა და სხვა მშრომელთა შორის, რომელთაც აინტერესებთ ებრაელ ღარიბების სოცმშენებლობაში ჩაბმის საკითხები. „ტრიბუნის“ საერთო ტირაჟი 1930 წ. იყო—25.000. მათგან—16.000 მუდმივი ხელისმომწერი. „ტრიბუნა“ გამოდის დეკადობით, ე. ი. თვეში სამჯერ.

არაპერიოდული გამოცემები დაიწყო 1928 წ. ამ ხნიდან 1930 წ. ოქტომბრამდე გამოცემულ იქნა 80 სახელწოდების წიგნი. აქედან—56 რუსულ ენაზე, 23—ებრაულზე, 1 ტატურ ენაზე დაღესტანის მთიელ ებრაელებისათვის.

საგამომცემლო მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე უკრაინის მემმსი და ნაწილობრივ ბელორუსიის მემმსი და საქმემმსიც.

მემმსის მეორე საკავშირო ყრილობის (1930 წ. დეკემბერში) რეზოლუციაში კულტსაგანმანათლებლო და საგამომცემლო მუშაობის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ:

...„9. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ კულტურული და პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა მრეწველობაში ახლად ჩაბმულთა შორის მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგა-

ნიზაციების მხრით,—მემმსმა უნდა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ყველა აღნიშნულ ორგანიზაციებს თავიანთ მუშაობაში ამ სფეროში.

...10. მემმსის ყველა ორგანიზაციების ვალდებულებაა გადასახლებულთა მიმართ ხელი შეუწყონ თავისი ორგანიზაციული, კულტურულ-მასიური მუშაობით ებრ. გლეხობის მეურნეობათა მთლიან კოლექტივიზაციას, მის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციას, კოლმეურნეობათა გადასვლას კოლექტივიზაციის უფრო მაღალ ფორმებზე, სოციალისტური ყოფის განეითარებას, გადასახლებულთა შორის კულაკურ და ჩარჩულ ელემენტებთან გადამწყვეტ ბრძოლას და გადასახლებულთა მასების ინტერნაციონალურ აღზრდას.

...12. ებრ. გადასახლებულთა შორის კულტურული ბოთხოვნილებების ზრდისა და არა საკმაო მუშაობის გამო ამ ხაზით, ამჟამად, როგორც ცენტრში აგრეთვე ადგილებზე, საჭიროა გარდატეხის მიღწევა ამ მუშაობაში და მისი აწევა სათანადო სიმაღლეზე. ამ მიზნით მემმსმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და დასვას კომზეტისა და სათანადო განსახკომების წინაშე საკითხები ებრ. გადასახლებულთათვის გეგმიანი და სისტემატიური მომსახურეობისა.“

...15. გა[illegible]საკუთრებული ყურადღება—ნათქვამია შემდეგ ამ საკითხის გარშემო—უნდა მიექცეს: გადასახლებულთათვის ხელის შეწყობას ახალა ცხოვრებისა და მუშაობის პირობების შესათვისებლად (ლიტერატურა აგრონომიული, საკოლმეურნეო მშენებლობისა, ინდუსტრიალიზაციისა, ყოფის გარდაქმნისა და სხვა), ფართო პოპულარიზაცია შრომისა და ყოფის პირობების შესახებ—სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დასახლების პირობებში, მემმსის უჯრედების მთელი ქსელისათვის დახმარება მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ, ორგანიზაციულ და აგიტაციურ მუშაობაში.

...16. „ტრიბუნამ“ უფრო ვიდრე ახლა, უნდა აამოძრავოს მასების ინიციატივა მემმსის ამოცანების ირგვლივ, უნდა გაშალოს დაუნდობელი თვითკრიტიკა ყველა შეცდომებისა და დეფექტებისა მუშაობაში, ნამდვილად დაეხმაროს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, აქტივს და საწევრო მასას მათ ყოველდღიურ მუშაობაში.“

უფრო კონკრეტულად მემმსის ორგანიზაციების ამოცანები პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის და კოლმშენებლობის სფეროში—ჩამოყალიბებულია მეორე საკავშირო ყრილობის განსაკუთრებულ რეზოლუციაში, რომელიც გამოქვეყნებულია „ტრიბუნაში“ (№ 6—1931 წ.)

ოპერატიული მუშაობა

მემმსი აწარმოებს მეტად საპასუხისმგებლო ოპერატიულ მუშაობას გადასახლებულთა შერჩევასა და შეგროვებაში, და ამ ბოლო დროს—საფაბრიკო საქარხნო სკოლებში, მასიურ პროფესიების სკოლებში და აგრეთვე გადასახლებულთა მოსაწყობად და განსამტკიცებლად ფონდებზე. განსაკუთრებით ფონდებზე მან ჩაატარა დიდი და მრავალფეროვანი მუშაობა.

სამი წლის განმავლობაში—1926 წ.—1929 წლამდე—მემმსი აწარმოებდა ოპერატიულ მუშაობას ყირიმში—ევპატორიის რაიონში. აქ ამ ხნის განმავლობაში აშენებულ იქნა 302 სახლი, მოეწყო 28 კოოპერატიული გაერთიანება, გა-

დასახლებულნი უზრუნველყოფილ იქნენ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით მათ რიცხვში 28 ტრაქტორით და სხვ.

მემმსის ოპერატიულ მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეჭირა ბირობიჯანს. მემმსი აწარმოებდა ყველა საგზაო, მელიორატიულ, გიდროტექნიკურ სამუშაოს და აგრეთვე მშენებლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მემმსი აპყრობდა აგრეთვე კუსტარულ სარეწაოების განვითარებას რაიონში და აგრეთვე სამრეწველო მშენებლობის დაწყებას. მემმსმა ბირობიჯანის ოპერატიულ მუშაობაზე, გარეშე სახელმწ. ბიუჯეტისა და საბანკო თანხებისა, დახარჯა ნახევარ მილიონზე მეტი საკუთარი თანხები.

ოპერატიულ მუშაობას აწარმოებდა ცოტახანს აგრეთვე უკრაინის მემსსიც (ნიკოპოლსკის რაინში); ხოლო 1928 წ. ბელორუსიის მემმსიც.

1930 წლიდან მემმსმა თავის მუშაობაში შეიტანა კომზეტისათვის დახმარება მუშა ძალის შეგროვებისათვის მრეწველობაში და ახალგაზრდობის—საფაბრიკო-საქარხნო და მასიურ პროფესიათა სკოლებისათვის და სხვადასხვა კურსებისათვის კვალიფიკაციისა და გადამზადებისათვის. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი **ორტის** ორ განიზაციის არსებობა, რომელიც შეუერთდა მემმსს.

მემმსის ფინანსიური საშუალებანი შედგება საწევრო ანარიცხებიდან, ლატარიიდან და მოძმე საზღვარგარეთელ ორგანიზაციების დახმარებიდან. უკანასკნელთაგან მემმსმა მიიღო ნახევარ მილიონ მანეთამდე. პირველმა ლატარიამ მისცა მემმსის ცენტრალურ გამგეობას წმინდა შემოსავალი 365 ათასი მან., მეორემ—667 ათასი, ხოლო მესამემ—ორ მილიონ მანეთზე მეტი.

კიდევ უფრო უმაღლეს საფეხურზე

რეკონსტრუქციული და „ყველა ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის“ პერიოდის ამოცანებთან დაკავშირებით, უკანაკნელ წლებში საფუძვლიანად შეიცვალა მემმსის მუშაობის ძირითადი დავალებანი და ის შევიდა უფრო მაღალ საფეხურზე.

მემმსის მეორე ყრილობამ მთლიანად და სავსებით დაუკავშირა მემმსის ამოცანები საერთო უახლოეს მიზანს—სოციალიზმის საძირკველის აშენების დამთავრებას.

თავის რეზოლუციაში ცენტრ. გამგეობის მოქმედების ანგარიშის გამო და აგრეთვე სხვა რეზოლუციებში ყრილობამ კონკრეტულად და ზუსტად ხაზი გაუსვა ახალ მითითებებს და მემმსის წინაშე მდგარ უახლოეს ამოცანებს.

ყრილობამ კატეგორიულად უარყო და აღიარა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრად—ზოგიერთი მუშაკების მიერ შეუფასებლობა იმ ფართო შესაძლებლობებისა ებრაელ ღარიბების საწარმოო შრომაში ჩაბმისა—კომზეტისა და მემსის სპეციალურ ღონისძიებათა გარეშე. მაგრამ ამავე დროს ყრილობამ აუცილებლად სცნო სასტიკად შეებრძოლოს იმ „მემარცხენე“ განწყობილებებს, რომლებიც მოითხოვენ მემმსის დაუყონებლივ ლიკვიდაციას, იმის გამო, რომ თითქოს ამოიწურა ებრაელ ღარიბების კონტინგენტი, რომელთაც სჭიროდეთ რაიმე განსაკ. ღონისძიებანი.

მისცა რა ახალი მითითება კონტინგენტების საკითხში, ყრილობამ გარკვევით თქვა, რომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მასიურ გადასახლე-

ბას ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ მსხვილ მიწის მასივებს—ყირიმს და ბირობიჯანს, რომელთაც უნდა მიექცეთ ერთგვარი ყურადღება.

ებრაელ მშრომელების ინდუსტრიაში ჩაბმის სფეროში ყრილობამ დაადგინა, რომ მემმსის ორგანიზაციებმა არ უნდა შეასრულონ შრომის სახკომატის როლი, მაგრამ ხელი უნდა შეუწყონ: 1) ებრაელ ახალგაზრდობიდან კვალაფიციური მუშა-ხელის მომზადებას და 2) ებრაელ მშრომელების ჩაბმას სოციალისტურ მეურნეობის ყველაზე უფრო საყურადღებო მრეწველობის დარგებში.

განზაზღვრული და მტკიცე მითითებანი მისცა ყრილობამ აგრეთვე ორგანიზაციის ძირითადი ქვედა წერტების რაიგანყოფილებების და უჯრედების განმტკიცებაში, მომავალ გამუშურებაში და ინტერნაციონალიზაციაში, როგორც საწევრო მასისა, აგრეთვე ხელმძღვანელი ორგანოებისა და ორგანიზაციის აპარატისა და აგრეთვე მუშაობის გაშლისათვის წითელი არმიისა და წითელი ფლოტის რიგებში, ინტერვენციის საფრთხესთან ბრძოლის გაძლიერებაში და სხვ.

ყრილობამ ცნო, რომ „მხოლოდ შემდეგ პირობებში: მთელი მუშაობის ჩატარება პარტიის ხელმძღვანელობით მე-XVI ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე, კლასობრივი ხაზის მტკიცე დაცვით, გადამწყვეტი ბრძოლით მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საშიშროებასთან, „მემარცხენე“ ნახტომებთან და მათთან შემარიგებლობასთან, ყველა ჯიშის ნაციონალიზმთან ბრძოლით და მთელი მუშაობის შეთავსებით სოციალისტური მშენებლობის ხუთ წლედის ამოცანებთან, სოცშეჯიბრისა და პროლეტარული თვითკრიტიკის მეთოდების გამოყენებით, სასტიკი პროლეტარული დისციპლინის შემოღებით, მაქსიმალური გეგმიანობით და განზრახული გეგმების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობით—ზემმსი შეასრულებს იმ საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომლებიც დაკისრებულია მასზე, როგორც საბჭოთა ქვეყნის პროლეტარულ ინტერნაციონალურ საზოგადოებაზე—მთელი ფრონტით გაშლილი სოციალისტური იერიშით შეტევის პერიოდში“.

ასეთია მემმსის მუშაობის ძირითადი მითითებანი უახლოესი პერიოდისათვის, მიცემული მეორე საკავშირო ყრილობის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედი საზოგადოების „საქმემსი“-ს—მუშაობის შესახებ

საქართველოს ებრაელთა სოციალური სტრუქტურა საქართველოს გასაბ-საბჭოებამდე, ღრმად განირჩეოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის დანარჩენი ნაწილის ებრაელთა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურიდან. ე. წ. „ბინადრობის ზოლის“ სფეროში მცხოვრებ ებრაელებს ჰყავდათ თავის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ფენა ხელოსნების, ინტელიგენციისა და პროლეტარიატისა. საქართველოს ებრაელთა უდიდესი უმრავლესობა კი შედგებოდა წვრილი მოვაჭრეებისაგან. მუშები და ხელოსნები მათ თითქმის სულ არ ჰყოლიათ. ხოლო ინტელეგენტების რიცხვი—თითზე ჩამოსათვლელი იყო.

ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე ერთი გარემოებაც: საქართველოს ებრაელობის დიდი უმეტესობა—ეს იყო მეტად უკულტურო მასა, რომელთა წრეში რელიგიამ მაგრად მოიკიდა ფესვი. რაბინები და რელიგიური კულტის ყოველგვარი მსახურები ჯერ მეფის მოხელეების და შემდეგ მენშევიკების დახმარებით ყოველნაირად აძლიერებდენ ფანატიზმის ზეგავლენას, რათა ეს მასა მაგრად ჰყოლოდათ ხელში ჩაჭერილი.

საქართველოს გასაბჭოება მოხდა ისეთ დროს, როცა რუსეთში დასრულდა სამოქალაქო ომი და შემოღებულ იქნა ნეპი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ პერიოდში—ვერ მოხდა სერიოზული ცვლილება საქართველოს ებრაელთა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში. ძველებურად მიმდინარეობდა—ცხოვრება ძველად დასახლებულ პუნქტებში და ვაჭრობა.

მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების მიერ აღებულმა კურსმა კერძო ვაჭრის გასადევნად-- გამოაცალა ფეხთქვეშ საქართველოს ებრაელებს ის უსაფუძვლო ნიადაგი, რომელზედაც დღემდე აშენებული იყო მათი ეკონომიკა. მათ დაიწყეს სწრაფი დეკლასირება და გაღატაკება.

მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი ჭარბად მყოფი თავისუფალი მუშახელის მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ. საბჭოთა ქვეყნის მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის შეუნელებელმა ზრდამ—შესაძლებელი გახადა ამ საკითხის სწრაფად გადაწყვეტა.

პარტიის ხელმძღვანელობით და მთავრობის მატერიალური ორგანიზაციული დახმარებით—ებრაელთა შრომა და ყოფა—მალე შედგა გამოჯანსაღების გზაზე.

თანდათანობით, გაძლიერდა ებრაელთა შრომის გამოყენება ფაბრიკა-ქარხნებში—სახ. დაწესებულებებში, სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობაში.

სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმა ებრაელობისა—ბევრს ეგონათ შეუძლებლად, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ ამისთვის სათანადო გამოცდილება და კვალიფიკაცია. მაგრამ დღეს უკვე მან მოიპოვა სამოქალაქო უფლება და იგი——საყოველთაოდ მიღებული ფაქტია.

ფართოდ გაიხსნა ებრაელ ახალგაზრდობისათვის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების კარები.

საქ. კომპარტიის ინიციატივით და მის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილ სპეციალურ ორგანიზაციებს—**მემმს** და **ღარებკომს** (რომელთა მიზანია ყურადღების მობილიზაცია საზოგადოებრიობის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისა ებრაელთა ღარიბების ყოფაცხოვრების გაჯანსაღების საკითხების გარშემო) უთუოდ აქვთ დიდი მიღწევები—თავის მუშაობაში.

ამჟამად ამ ბროშურაში ჩვენ გვაინტერესებს საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების საქმიანობა და ამიტომაც ზოგადათ შევეხებით მის მიერ ჩატარებულ მუშაობას.

მემმსის არსებობას საქართველოში აქვს ოთხი წლის ისტორია.

განვლილი ოთხი წლის მუშაობის შედეგად, საზოგბდოება დღეს თავის რიგებში ითვლის 17.400-დე წევრს, რომელთაგან პარტიულები შეადგენენ 13 პროც. კომკავშირლები—26 პროც., ხოლო—უპარტიოები—61 პროც.

საქმემმსის არსებობის პირველ ხანებში საზოგადოების არაებრაელი წევრები თითზე ჩამოსათვლელი იყო, ეხლა კი საქმემმსი ნამდვილი ინტერნაციონალური ორგანიზაციაა, სადაც ეროვნებათა მიხედვით ჩვენ ვხედავთ დანაწილების ასეთ სურათს: ებრაელები—4 პროც., ქართველები—74 პროც. სომხები 18 პროც., რუსები—7, დანარჩენები—2 პროც.

სოცშემადგენლობის მიხედვით: მუშები—25 პროც., მოსამსახურეები—20 პროც., მოსწავლენი—55 პროც.

ამჟამად საქმემმს აქვს 19 განყოფილება, რომლებითაც დაქსელილია საქართველოს თითქმის ყველა მსხვილი რაიონები. ხშირად ეს განყოფილებები ისეთ ადგილებშია, სადაც სრულიად არ არის ებრაელი მოსახლეობა.

უკანასკნელ დროს გაშლილ იქნა მეტის-მეტად ინტენსიური მუშაობა მემმსის უჯრედების ჩამოსაყალიბებლად წარმოებებში, დაწესებულებაში და სასწავლებლებში. მხოლოდ ქ. ტფილისში უკვე ჩამოყალიბებულია უჯრედები 35 სასწავლებელში, 25 წარმოებაში და 18 დაწესებულებაში, სულ—78 უჯრედი, რომლებშიაც გაერთიანებულია მემმსის—5.300 წევრი.

დიდი ახსნაგანმარტებითი მუშაობის შედეგად, რომელიც ჩატარებულ იქნა ტფილისის უჯრედებში—შესაძლებელი გახდა მოწყობა მემმსის სახელობის 8 დამკვრელი ბრიგადისა და საამქროსი წარმოებებში და ტრანსპორტებზე და ერთი ბრიგადაც უმაღლეს სასწავლებელში.

მემმსის აქტივისტების რიცხვი—ტფილისში უდრის—80 კაცს.

რაიონებთან გამგეობას აქვს უშუალო ცოცხალი კავშირი. ზოგიერთ განყოფილებებმა განსაკუთრებით თავი ისახელეს თავისი უნარიანობით და ორგანიზაციული მუშაობის გაშლით (ქუთაისი, ბათომი, ფოთი, ცხინვალი, სოხუმი).

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი პოლიტიკური და სამეცნიერო კამპანიების ჩატარება—საქმემმსის რიგებში იღებს თავის დროულ გამოძახილს—და ენერგიულ გამოხმაურებას.

აი მაგალითად:

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია ებრაელთა კოლმეურნეობებში ანტიპასხალური და საპირველმაისო, საქმემმსის მესამე კონფერენციის შედეგე-

ბის დამუშავება, ბირობიჯანის პოპულარიზაცია, ტირიფონისათვის ებრაელ კოლმეურნეთა შეგროვება, მემმსის ოთხი ლატარიის ბილეთების რეალიზაცია, ხუთწლედის მე-4 დამამთავრებელი წლის სესხის რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება, „ტრიბუნაზე“ ხელისმოწერა და სხვ.

მემმსის მესამე ლატარიის ბილეთები განაწილებულ იქნა 125.000 რაოდენობით. მეოთხე ლატარიის ბილეთების საკონტროლო ციფრი—განსაზღვრული 150.000 ცალი.

მე-IV დამამთავრებელი წლის სესხის ობლიგაცია—არა ორგანიზებულ მოსახლეობაში გავრცელებულია 110.000 მან. რაოდ.

ბირობიჯანში კულტურის სახლის აგების მიზნით დღემდე შეგროვილია 2.000 მანეთი.

საქმემმსმა ფართოდ გაშალა აგრეთვე „მემსის მეგობართა“ ბავშთა ორგანიზაციების ქსელი—რომელიც დღემდე ითვლის 3.000-მდე წევრს.

კულტმასიური მუშაობის ხაზითაც საქმემმსს აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მემმსი ყოველთვის იღებს მონაწილეობას კონტიგენტის შერჩევაში ებრაელ ბავშების მოსაწყობად საფაბრიკო საქარხნო სკოლებში, ტექნიკუმში, უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში. გამოცემულ იქნა ორჯერ ერთდროული გაზეთები—ქართულ და რუსულ ენებზე „ებრაელი მიწათმომქმედი“. გამოცემულ იქნა შემდეგი ბროშურები ქართულ ენაზე:

1) „რა არის მემსი,“ 2) „ებრაელები საბჭოთა კავშირში“—კალინინისა, 3) „ბირობიჯანი და პალესტინა“—სუდარსკისა, 4) „მემსის მუშაობა ბავშების შორის“ და 5) მემმსის აქტივისტის დამხმარე“. გარდა ამისა გამოცემულია რუსულ ენაზე გერცელ ბააზოვის მოთხრობა „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ 10.000 ეკზემპლიარით.

მზადდება გამოსაცემად ერთდღიური გაზეთები, მწერალთა ბრიგადის ნარკვევების წიგნი „ახალი ებრაელები“ და სხვ.

დადებულია აგრეთვე სახელგამთან სათანადო ხელშეკრულება მემმსის პოპულარულ ლიტერატურის გამოსაცემად 30 ბეჭდვითი ფორმის რაოდენობით.

დაბეჭდილია 36 ლოზუნგი—10.000 ეკზ.

ჩატარებულია 130 მოხსენება და თათბირი.

გამგეობის მიერ წითელ გორასა და ტირიფონზე დადგმულ იქნა რადიო; შეძენილ იქნა აგრეთვე რადიომ-ოწყობილობა ტირიფონისათვის.

მარტო ქ. ტფილისში შეგროვილია 400-ზე მეტი ხელისმომწერი ჟურნალ „ტრიბუნაზე“.

საქმემმსმა გაუკეთა საჭირო კონსულტაცია კინოაგიტსურათს, რომელსაც ამზადებს სახკინმრეწვი ებრაელთა მიწათმოწყობის თემაზე საქართველოში.

სხვადასხვა წარმოებებში მოწყობილ იქნა მემმსის კუთხეები.

მემმსისვე ინიციატივით ებრაელთა ოთხი კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია შეფებით (წითელი გორა, მუხრაანი, ქობულეთი და ტირიფონი).

კოლმეურნეობებში—იგზავნებოდა მწერალთა ბრიგადა.

კოლმეურნეობემს გაეგზავნათ ბიბლიოთეკები ათასამდე წიგნებით და ბროშურებით—მემმსის მუშაობისა და აგრონომიულ საკითხების გარშემო.

პრესაში სისტემატიურად იბეჭდებოდა ინფორმაცია და წერილები მემმსის საქმიანობის ირგვლივ.

ეხლა შევეხოთ—საქმემმსის უმნიშვნელოვანეს ფრონტს—ებრაელთა კოლმეურნეობებს.

1932 წლ. პირველ ივლისისათვის საქართველოში არსებობს ებრაელთა 14 კოლმეურნეობა. კოლმეურნეობების მიწის საერთო სივრცე შეადგენს 1376 ჰექტარს თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოში არსებულ მიწის დიდ კრიზისს, ეს უსათუოდ დიდი მიღწევაა. ამ მიწებზე დასახლებულია 382 ოჯახი (დაწვრილებითი ცხრილი იხ. შემდეგ გვერდზე).

კოლმეურნეობათა უმთავრესი დარგებია: პური, ქერი, სიმინდი, ჩაი, გერანი, თამბაქო, ბაღბოსტანი, სოია, ყურძენი და სსვ.

კოლმეურნეობებს მოეპოვებათ პირუტყვი, გუთნები, ურმები და ტრაქტორები (უკანასკნელი—ახალციხეს, წითელ გორას და მუხრანს).

კოლმეურნენი აწარმოებენ აგრეთვე შემდეგი სახის სამუშაოებს: ხე-ტყის დამზადებას, აგურის წარმოებას, მესაქონლეობა-მეფუტკრეობას და სხვა.

საქმემმსის უკანასკნელ პლენუმზე მოსმენილ იქნა ებრაელთა კოლმეურეობების წარმომადგენელთა პატაკები. პლენუმმა აღნიშნა მესამე ბოლშევიკური გაზაფხულის თესვის გეგმის წარმატებით შესრულება.

სახელდობრ, მუხრანის კოლმეურნეობამ გეგმა შეასრულა 187 პროც., ქობულეთის კოლმეურნეობამ—178 პროც., წითელ გორის—140 პროც., ონის——110 პროც., ახალციხის—104 პროც., სუჯუნის, ქუთაისის, სენაკის და საჩხერის კოლმეურნეობებმა—100 პროც.

პლენუმმა დაადგინა: საქმემმსის გარდამავალი დროშა გადაეცეს მუხრანის მესამე ინტერნაციონალის სახელობის ებრ. კოლმეურნეობას, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა გეგმა და სანიმუშოდ დააყენა ანგარიშიანობის საქმე. მიეცეს ჯილდოთ 500 მანეთის სამრეწველო საქონელი ქობულეთის ებრაელთა კოლმეურნეობა „აჭაროზეტს“ თესვის კამპანიის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქმემსის გამგეობის მიერ დაწვრილებით იქნა გამოკვლეული ყველა ებრაელთა კოლმეურნეობები საქართველოში.

გაზაფხულის თესვისა და მოსავლისათვის კამპანიების დროს კოლმეურნეობებში იგზავნებოდენ აგრონომები და ინსტრუქტორები ხელმძღვანელობის გასაწევად. თავის დროზე მიღებულ ზომებით ტირიფონის კოლმეურნეობა აცილებულ იქნა გარღვევას.

გამგეობის მიერ გაღებულ იქნა კრედიტის სახით . . . . . მანეთამდე კოლმეურნეობებში მშენებლობის საწარმოებლად, მუშა-საქონლის შესაძენად და სხვ.

გამგეობის წინადადებით გამოყოფილ იქნა მთავრობის კომისია, რომელმაც გამოიკვლია სტიქიური უბედურებისაგან (წყალდიდობა) დაზარალებული წითელ გორის კოლმეურნეობა, რის შედეგაც მიღებულ იქნა მთელი რიგი საყურადღებო ღონისძიებებისა—კოლმეურნეობების შესანარჩუნებლად და მომავალში კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

ცხრილი

ებრ. კოლმეურნეობებისა საქართველოში

№№	კოლმეურნეობის სახელწოდება	დაარსების წელი	ოჯახების რიცხვი	მეპალოთა რიცხვი	მიწის რაოდენობა ჰექტარებში
1.	„ვანო სტურუას“ სახ., წითელ გორაში (ლაგოდეხის რაიონი)	1928	60	300	768
2.	„მესამე ინტერნაციონალი“, მუხრანი (მცხეთის რაიონი)	1930	34	158	80
3.	„აჭარისტანი“—ქობულეთში	1930	16	23	30
4.	„შეგნება“—ონი, რაჭა	1931	18	60	7
5	„№ კსპ“, ახალციხე	1928	43	180	150
6.	„მშრომელი ებრაელი“, საჩხერე, ჭიათ. რ.	1930	21	114	6
7.	„მიხა კახიანი , სუჯუნა, აბაშის რაიონი.	1929	21	96	21
8.	„პირველი ნაბიჯი“, ვანი	1929	31	78	35
9.	„ახალი ცხოვრება“, საგარეჯო	1930	18	63	29
10.	„ა/კ. ფედერ.“, ტირიფონი, გორ. რაიონი .	1929	40	110	180
11.	„ა. კეკელია“, კულაში, სამტრედ. რაიონ.	1931	45	250	32
12.	„ალ. ჯაფარიძე“, სენაკი	1931	30	52	20
13.	„საქმემსი“, სურამი	1931	30	80	45
14.	„ბიროობიჯანი“, ქუთაისი	1931	11	40	20
		ს უ ლ.	382	1490	1376

მესამე ბოლშევიკურ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს საქმემსის გამგეობამ განსაკუთრებული მომსახურეობა გაუწია წითელ გორის, მუხრანის, ქობულეთის, ახალციხის, ქუთაისის, კულაშის და ტირიფონის კოლმეურნეობებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტირიფონის კოლმეურნეობა, რომელიც ატარებს ამიერკავკასიის ფედერაციის სახელს. აქ თესვის კამპანია ჩატარდა საქმმემსის გამგეობის მიერ გაგზავნილი ბრიგადის უშუალო ხელმძღვანელობით. მათ მიეცათ ტრაქტორი, თესლეული, პირუტყვის ძალა და გადაზიდვის საშუალება.

თანახმად საქ. ცაკის დადგენილებისა გამოყოფილია ფართობი 180 ჰექტარის რაოდენობით—სოციალისტური სოფლის გასაშენებლად, გენერალური გეგმა, ხარჯთაღრიცხვები და მშენებლობის პროექტები უკვე დამტკიცდა და გამგეობაც შეუდგა დაკვრითი წესით მშენებლობის გაჩაღებას. მშენებლობის პირველი რიგის საჭიროებისათვის გადადებულია 150.000 მანეთი.

ჩატარებულ იქნა შემგროვი კამპანია სტალინირის (ცხინვალის) ღარიბ ებრაელთა შორის და შეგროვილია 50 ოჯახამდე—ახალი კოლმეურნენი—ტირიფონის ველზე დასასახლებლად.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გაჩნდა ახალი ტიპის ებრაელი—კოლმეურნე.

ებრაელ კოლმეურნეთ, დღემდე შეუჩვეველი ასეთ მუშაობისათვის—მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, მათ კიდევ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ბევრი დაბრკოლებები ხვდებათ, მაგრამ უკვე აღარ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მათ თავიანთი პატიოსანი შრომით, ღრმა სიყვარულით ამ ახალი საქმისადმი—უკვე დასძლიეს მთავარი—ძველი ყოფისაგან განთავისუფლება და მტკიცედ შეუერთდენ სოციალიზმის მშენებელ მასებს.

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ფასი 25 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
15571

მტავლიტი № 115. ტირაჟი 3000. შეკვეთა № 1816

ტფილისი, პლეხანოვის გამზ. 76. მე-3 პოლიგრაფტრესტის სტამბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 2.022/3